

საბა

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

№ 1

იანვარი

2007

სინოდის შემდეგ  
პაპი თურქეთში  
ზეიმი ქუთაისში  
რა არის მოხალისეობა  
1956 წლის აჯანყება უნგრეთში

სრულიად საქართველოს ვულოცავთ შობას  
და ვუსურვებთ ბედნიერ ახალ წელს!

1 იანვარი მშვიდობის მსოფლიო დღეა  
შევუერთდეთ მას ჩვენი ღოცვებით!

18-25 იანვარს ქრისტიანთა ერთობისათვის ღოცვის  
კვირეულია  
ვილოცოთ ერთად!

რედაქციის გვერდი

### სინოდის შემდეგ, საშობაოდ

“ნუ გეშინიათ, გაუწყებთ დიდ სიხარულს” (ლუკ. 2:10), – ამ სიტყვებით ახარეს იესოს შობა; იგივე სიტყვები ამოწმებენ მუდამჟამს ღმრთის მოსვლას და კაცობრიობის მთელს ისტორიაში მის არსებობას, ცოდვილი ადამიანის პირველი საფარველიდან, კაცის ძის მეორედ მოსვლის უკანასკნელ დღემდე.

საღმრთო წერილს უხვად მოაქვს ეს სიტყვები: “ნუ გეშინიათ გამხნევდით, მე ვარ!”. უწინარესად, ისინი ძლიერი და საამური სიტყვებია იესოსო, რომელიც იშვა ბეთლემში ავგუსტუსის იმპერატორობის ჟამს, გაიზარდა ნაზარეთში, იერუსალიმის გალავანს გარეთ მოკვდა და სამარხიდან აღდგა მესამე დღესა; ეს მისი სახარებაა.

უკანასკნელი პერიოდის პაპები თავდაუზოგავად იმეორებდნენ იესოს ამ მოწვევას: “ნუ გეშინიათ... გამხნევდით, ეს მე ვარ”. ამას აცხადებდა იოანე პავლე II თავისი ხანგრძლივი და განსაკუთრებული პაპობის დასაწყისშიც და მესამე ათასწლეულის დასაწყისში, იგივე განაცხადა ბენედიქტე XVI-მ უბრალოებით და სიხარულის გრძობით, როდესაც მოციქულ პეტრეს მემკვიდრედ წარსდგა რომის ეკლესიის კათედრაზე, – “რომელიც სიყვარულით წინამძღვრობს” (როგორც ამბობდა წმ. ეგნატე ანტიოქელი), – თავისი ღმრთისმსახურების დასაწყისში.

იგივე სიტყვები გაგვიმეორა ჩვენმა ეპისკოპოსმაც, მონსინორ ჯუზეპე პაზოტომაც, 16 დეკემბერს ჩვენი ეკლესიის სინოდის დახურვაზე, როდესაც პოსტსინოდური წერილით გვამცნო: “ნუ გეშინიათ, გამხნევდით, მე ვარ!”. მან ჩვენს კათოლიკე ეკლესიას ზიარების, მსახურებისა და რწმენის ზრდის მხნეობისაკენ მოუწოდა. სჭირდება დღეს ეს სიტყვები მორწმუნე ადამიანს, ქრისტიანულ ოჯახს, ეკლესიას? შეუძლია სიტყვას მხნეობის მინიჭება? რა თქმა უნდა, რადგან ეს რამე უბრალო შემთხვევასთან ან მილოცვასთან დაკავშირებული სიტყვები როდია... ესაა სიტყვა ღმრთისა, რომელიც კაცად იქმნა იესოში, ხოლო იესოს განსაკუთრებულობა სწორედ ღმრთის სიტყვის არსებობაა; მან მისცა “მხნეობა“ სიტყვას, მხნეობა თავის შობით, თავისი ცხოვრებით, სიკვდილით და აღდგომით; თავად იესოა მხნეობა; მხნეობა, რომ ჩვენთან იცხოვროს დროის უნდობლობაში, რათა ჩვენ იმ უამზე ჩაგვისახოს იმედი, რომელიც დროის გარეშე იარსებებს; მხნეობა, რომ ჩვენს გვერდით იცხოვროს, ჩვენს უბადრუკ ცოდვებს შორის, რათა პირველქამინდელ წალკოტში წაგვიყვანოს; მხნეობა, რომ ჩვენთან იცხოვროს ამა თუ იმ კულტურის, ამა თუ იმ ერის საზღვრებში... რათა მისგან დავიმოდვროთ. ეს გახლავთ შობის მხნეობა!

თვით წმ. გიორგის ძეგლის აღმართვა თბილისში, თავისუფლების მოედანზე, 23 ნოემბერს, “ვარდების რევოლუციის” მესამე წლისთავზე, ერთგვარი გამოწვევა იყო მხნეობისაკენ, ზეცისაკენ შემართული და კვარცხლბეკზე დამყარებული ფორმით. ეს მონუმენტი იმ მრავალი ადამიანის მხნეობას იხსენებს, რომლებიც სამი წლის წინ, პირადად ცდილობდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი კურსის შეცვლას; იგი იმ ჭაბუკი ჯარისკაცის მხნეობას იხსენებს, რომელმაც III საუკუნეში თავისი ქრისტიანული რწმენაზე უარი არ თქვა არც რომის იმპერიის ყველაზე საცდური სიამოვნებების მოსაპოვებლად და არც მის საშინელ წამებებზე უარისსათქმელად. ეს მონუმენტი თვალისთვის უფრო ადვილად აღიქმება შორიდან და არა ახლოდან: თავი მაღლა უნდა ასწიო, თუ გინდა რომ ძეგლი მთლიანობაში დაინახო; უნდა გვეყოს იმის მხნეობა, რომ ახლოდან შევხედოთ რეალობას და შევამჩნიოთ, რომ საქართველო ჯერ კიდევ არ არის ისეთი, როგორც თავისუფლების მოედანია და ჯერ არც იმის მხნეობა გვაქვს მოპოვებული, რომ თავი მაღლა ავწიოთ და თავდაუზოგავად გავაგრძელოთ მოღვაწეობა, თუ გვინდა რომ მთელი საქართველო გაღამაზდეს... და არა მხოლოდ მონუმენტები!

საქართველოში ჩვენს კათოლიკე ეკლესიას პატარა მონუმენტიც კი არ გააჩნია ისტორიული ხსოვნის აღსანიშნავად; ვინ იცის, ქუთაისის კათოლიკური საკრებულო ოდისმე თუ დადგამს პატარა დაფას იმ მიწაზე, სადაც დონ დამიანე სააკაშვილის ნეშტია დაკრძალული; მას არც დიდი ეკლესიები გააჩნია

ვინმეს სახელისათვის მისაძღვნელად; ვინ იცის, დაუბრუნებენ კი იმ ეკლესიებს, რომლებსაც კომუნისტურ რეჟიმამდე ფლობდა და შეძლებს კი ახლის ისე აგებას, რომ ამას არ მოჰყვეს, ამ დემოკრატიულ ხანაში, ფანატიკოსთა მცირე ჯგუფის მძლავრი პროტესტი; ჩვენს ეკლესიას არც ის ფაქტები გააჩნია, რაც შეიძლება მასმედის მხრიდან ყურადღების ღირსი გამხდარიყო (რამდენადაც ჩანს), და ვინც იცის, კიდევ რამდენხანს დასჭირდება ლოდინი თავისი იურიდიული აღიარების მოსაპოვებლად; სამაგიეროდ მას აქვს ქრისტიანულ საკრებულოთა შორის თავისი ყოფნა, – მცირე იქნება ეს თუ დიდი, მნიშვნელობა არა აქვს რაოდენობას, – რომლებიც მხნედ აგრძელებენ შეკრებას თავიანთი რწმენის ასაღიარებლად და გასაღრმავებლად, წმიდა საიდუმლოთა აღსანიშნავად, სიყვარულის გასაცემად; მხნეობა ის არის, რომ შენს ცხოვრებაში სარბიელი დაუთმო იესოს, რათა სული წმიდის შეწევნით ღმერთი მიიღო; მხნეობა არის ის, რაც მათ მიეცათ ახლახანს დასრულებული სინოდის მიერ და ეპისკოპოსის, მღვდლების, ოჯახების, მორწმუნეთა ყოფნის წყალობით; მხნეობა არის ის, რომ თავს გრძნობენ რომის ეპისკოპოსთან, ბენედიქტე XVI-სთან ზიარებაში, მაშინაც კი, როცა სხვები მის გარეშე ყოფნითაც ამაყოფენ; მხნეობა არის ის, რომ თანამშრომლობა სურთ ყველა ქრისტიანთან, მაშინაც კი, როცა ზოგიერთი უარყოფს ან უკუაგდებას ამ დავალებას, და ყველა მორწმუნესთან და არამორწმუნესთან ადამიანის ღირსების სახელით, უფრო სამართლიანი საზოგადოების აგების მიზნით; და ეს დიდი მხნეობა, მოდის არა საკუთარი ძალებიდან, არამედ იმ რწმენიდან, რისი მატარებლებიც ისინი არიან.

იესო ქრისტეს შობას და ახალ წელს ეულოცავთ ყველას, ეპისკოპოსს, ნუნციუსს, ჩვენს პრეზიდენტს, კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს და ყველა ეკლესიის წარმომადგენლებს, ყველა ქრისტიანულ და რელიგიურ საკრებულოებს, ჩვენი ყოველთვიური მაცნის ძვირფას მკითხველებს, განსაკუთრებით კი, უიმედოდ მყოფთ: “ნუ გეშინიათ, გამხნევდით, მე ვარ”, ემანუელი – “ღმერთი ჩვენთან არს!”.

**მამა გაბრიელე ბრაგანტინი**

**კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში**

## **პონტიფექსის სტუმრობა თურქეთში**

ბენედიქტე XVI-ის სტუმრობა თურქეთის რესპუბლიკაში 28 ნოემბერს დაიწყო და 1 დეკემბერს დასრულდა. როგორც იტალიაში დაბრუნების შემდეგ თავად პონტიფექსმა აღნიშნა, მისი მსხემობა “სამ კონცენტრირებულ წრეს მოიცავდა”: პირველი – ეს იყო თურქეთის ტერიტორიაზე არსებული წმიდა ადგილებისა და კათოლიკე ეკლესიის “მცირე სამწყსოს” მონახულება; მეორე – ეკუმენური შეხვედრა კონსტანტინოპოლის პატრიარქთან ბართლომე I-თან და საღმრთო ლიტურგიაში მონაწილეობა წმ. ანდრია მოციქულის მოხსენიების დღეს (ამ შეხვედრას ბევრმა შემფასებელმა პეტრესა და ანდრიას შეხვედრა უწოდა); მესამე – დიალოგი ისლამთან და თურქეთის ხელმძღვანელობასთან, რომელთაც სურთ ერთიანი ევროპისაკენ სვლა.

დავიწყით “მეორე წრის” მიმოხილვით, რომელიც ჩვენი ჟურნალის მკითხველისათვის განსაკუთრებით საყურადღებო და საინტერესოა. რომის უზენაესი პონტიფიქსის პავლე VI-ისა და კონსტანტინოპოლის პატრიარქის ათენაგორა I-ის ისტორიული შეხვედრის შემდეგ, რომელიც 1964 წელს იერუსალიმში გაიმართა, ესაა რომის ეპისკოპოსისა და მსოფლიო პატრიარქის რიგით მესამე შეხვედრა. მეორე ამგვარი შეხვედრა, როგორც ცნობილია, 1979 წელს გაიმართა, როცა თურქეთს წმიდა მამა იოანე პავლე II ეწვია დიმიტრი I-ის პატრიარქობის დროს.

წმიდა მამა და მსოფლიო პატრიარქი ამ ვიზიტის ფარგლებში პირველად ერთმანეთს 29 ნოემბერს წმ. გიორგის საკათედრო ტაძარში შეხვდნენ. ერთობლივი ლოცვის შემდეგ მათ ერთმანეთს სიტყვებით მიმართეს. ბენედიქტე XVI-მ აღნიშნა, რომ ის მიწა, სადაც დღეს იმყოფება “მჭიდროდაა დაკავშირებული რწმენის გაფურჩქვნასა და ეკლესიის განმტკიცებასთან. ვიხსენებ წმ. პეტრეს მიმართვას პირველი ქრისტიანული საკრებულოებისადმი ‘პონტოსა და გალატიაში, კაპადოკიაში, ასიასა და ბეთანიაში’ (1:1). ვიხსენებ, აგრეთვე, მოწამეებსა ღმრთისმეტყველებს, ბერებსა და წმიდანებს, რომლებიც ამ ეკლესიებმა გვაჩუქა. ვიხსენებ უდიდეს წმიდანებსა და ეკლესიის მწყემსებს, რომელთაც ებარათ კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ტახტი – წმ. გრიგოლ ნაზიანზელსა და წმ. იოანე ოქროპირს – ეკლესიის მოძღვრებად აღიარებულთ როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში... აღმოსავლეთის ამ მიწაზე 7 საეკლესიო კრება ჩატარდა. შვიდივე აღიარებულია როგორ მართლმადიდებელთა, ისე კათოლიკეთა მიერ როგორც ეკლესიის რწმენისა და საეკლესიო დისციპლინის ავტორიტეტული გამოხატულებანი. ისინი მარადიული ნიშნულები და ორიენტირები არიან ჩვენი საბოლოო და სრული ერთიანობისაკენ.”

30 ნოემბერს წმ. ანდრია მოციქულის მოხსენიების დღეს წმიდა მამამ მონაწილეობა მიიღო საღმრთო ლიტურგიაში, რომელიც წმ. გიორგის მართლმადიდებლურ საკათედრო ტაძარში აღსრულდა და რომის ეპისკოპოსისა და მსოფლიო პატრიარქის ორმაგი კურთხევით დასრულდა. ლიტურგიის შემდეგ ბენედიქტე XVI-მ და ბართლომე I-მა ხელი მოაწერეს საერთო დეკლარაციის ტექსტს, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: “ჩვენი ძმური შეხვედრა – პაპ ბენედიქტე XVI-სა და პატრიარქ ბართლომე I-ს შორის – ღმრთის ნამოქმედარია, უფრო მეტიც, – ესაა ღმრთის მადლი. ჩვენ მადლობას ვწირავთ ყოველი მადლის შემოქმედს, რომელმაც საშუალება მოგვცა, კიდევ ერთხელ, ლოცვასა და თანადგომაში სიხარული გამოგვეხატა იმ ფაქტის შეგნების გამო, რომ ჩვენ ვართ ძმები და პასუხისმგებელნი მომავალი სრული თანაზიარებისა... რაც შეეხება რომისა და კონსტანტინოპოლის ეკლესიათა ურთიერთობებს, ჩვენ არ შეგვიძლია დავივიწყოთ ოფიციალური საეკლესიო აქტი, რითაც ძველი ანათემები სამუდამოდ დავიწყებას მივეცით [საუბარია იმ ისტორიული მნიშვნელობის აქტზე, როცა პავლე VI-მ და ათენაგორა I-მა 1054 წლის ანათემები, რომლებმაც სიმბოლურად სათავე დაუდო ეკლესიათა გაყოფას, 1964 წელს იერუსალიმში გააუქმეს და გამოაცხადეს “ვითარცა არყოფილნი”], რომლებმაც წარსულში უარყოფითი ზეგავლენა მოახდინეს ჩვენს ეკლესიათა შორის ურთიერთობაზე. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ გამოვავლინეთ ბოლომდე ამ აქტის დადებითი შედეგები, რომელთაც საბოლოო თანაზიარებამდე უნდა მიგვიყვანოს...”

ამიტომაც, ჩვენ ვთხოვთ მორწმუნეებს, აქტიური როლი შეასრულონ ამ პროცესში და ღოცვითა თუ მნიშვნელოვანი ქმედებებით ხელი შეუწყონ ეკლესიათა საბოლოო გაერთიანებას”. დეკლარაცია 7 პუნქტისაგან შედგება და შეეხება ეკლესიათა შორის ურთიერთობების მნიშვნელოვან საკითხებს.

კონსტანტინოპოლის პატრიარქის გარდა, ბენედიქტე XVI შეხვდა სომხეთის სამოციქულო ეკლესიის პატრიარქს, სირიის მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტსა და თურქეთის მთავარ რაბინს. ყველა აღმოსავლური ეკლესიის მეთაური დაესწრო 1 დეკემბერს პონტიფექსის მიერ აღსრულებულ წმიდა წირვას სტამბულის კათოლიკურ საკათედრო ტაძარში.

ახლა რამდენიმე სიტყვა ამ ვიზიტის “მესამე წრეზე”, რომელიც თურქეთთან ურთიერთობასა და ქრისტიანულ-ისლამურ დიალოგს მოიცავს. ბენედიქტე XVI-ის ვიზიტს, როგორც ვიცით, მწვავე რეაქცია უძღვოდა წინ, რომელიც პონტიფექსის მიერ რეგენსბურგში წაკითხული ლექციის გაშუქებას მოჰყვა. მიუხედავად სერიოზული დაძაბულობისა და ფუნდამენტალისტების მხრიდან რეალური მუქარისა, ვიზიტი, როგორც ერთხმად აღნიშნავენ, საოცრად წარმატებული აღმოჩნდა. განსაკუთრებული შთაბეჭდილება ბენედიქტე XVI-ს მიერ ლურჯი მეჩეთის სრულიად იმპროვიზებულმა მონახულებამ და წმიდა მამის მღუმარე ღოცვამ მოახდინა. თურქეთის მთავარმა მუფტიმ აღნიშნა, რომ ის განსაკუთრებით ააღელვა პონტიფექსის საოცარმა ტაქტმა, როცა ღოცვის დასრულების შემდეგ წმიდა მამამ პირჯვარი არ გადაისახა და ხელები ისე დაიწყო, როგორც ამას მართლმორწმუნე მუსლიმები აკეთებენ. თავად წმიდა მამამ ასე განმარტა თავის საქციელი მეჩეთში: “მე მღუმარედ აღვაგლინე ღოცვა მამა ღმრთისადმი, რომელიც ყველაფრის შემოქმედი და ყველა ჩვენგანის მამაა – ღმერთი, რომელიც სწამს თითოეულ მართლმორწმუნე მუსლიმს”. თითქმის ყველა კომენტატორმა აღნიშნა, რომ პაპი ჩავიდა მისადმი საკმაოდ მტრულად განწყობილ ქვეყნაში და დატოვა ის როგორც ამ ქვეყნის ჭეშმარიტმა მეგობარმა, სხვათა რწმენის პატივისმცემელმა. უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის პრემიერ-მინისტრმა უპრეცედენტო აქტი ჩაიდინა – ერთი დღით გადადო თავის ვიზიტი რიგაში, სადაც ევროკავშირის სამიტი შედგა და პირადად დახვდა წმიდა მამას აეროპორტში. ბენედიქტე XVI-მ კი, თავის მხრივ, ათათურქის მავზოლეუმი ვიზიტის პირველსავე დღეს მონახულა, ხოლო თურქეთის პირველ პირებთან შეხვედრებისას არაერთხელ გაუსვა ხაზი სხვათა რწმენის თავისუფლების დაცვისა და რწმენის საკითხებში ძალადობის დაგმობისა და უარყოფის მნიშვნელობას.

დაბოლოს, თურქეთის კათოლიკეთა “მცირე სამწყსოს” წმიდა მამამ კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ რწმენის სიძლიერესა და ეკლესიის სიმტკიცეს რაოდენობა არ განსაზღვრავს. ეფესოში “მარიამის სახლთან” ჩატარებულ წმიდა წირვაში პონტიფექსმა საგანგებოდ მოიხსენია მამა ანდრეა სანტორი, რომელიც წლის დასაწყისში მოწამეობრივად აღესრულა ქალაქ ტრაპიზონში.

იაკობ ღუმბაძე

სინოდი

სინოდის დახურვა

16 დეკემბერს, თბილისის მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძარში საზეიმოდ დაიხურა საქართველოში კათოლიკე ეკლესიის სინოდი. ნიშანდობლივია, რომ ეს დღე ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს სამოციქულო ადმინისტრატორად დანიშვნის 10 წლისთავს დაემთხვა, რაც უფრო ამშვენებდა და მეტ მნიშვნელობას ჰმატებდა ზეიმს.

საზეიმო შეკრება წმიდა წირვით დაიწყო, რომელიც სამღვდლო დასთან ერთად აღავლინა ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ. წმ. წირვაში მონაწილეობდა წმიდა საყდრის დესპანი ამიერკავკასიაში, მთავარეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი. წირვას ესწრებოდნენ: სინოდის წევრები, კათოლიკური სამრევლოების სამწყვსო საბჭოს წევრები, საკათედრო ტაძრისა და წმ. პეტრესა და წმ. პავლეს კათოლიკური ტაძრის მრევლის წევრები, მოწვეული სტუმრები.

წირვის დაწყების წინ შეკრებილ მრევლსა და საზოგადოების წარმომადგენლებს მიესალმა ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო და მადლობა მოახსენა საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობისათვის.

ეკლესიის ერთიანობის სიმბოლური ნიშანი იყო, როდესაც მამა იეჟი შიმეროვსკიმ, მამა ბენიამინ ბეთ იადეგარმა – ასირულ-ქალდეური კათოლიკური წესის მოძღვარმა და მამა ემანუელმა – სომხური კათოლიკური წესის მოძღვარმა, ერთად ხელაპყრობილებმა, საღმრთო წერილი და ხატი შემოასვენეს. თანაზიარებისა და ერთიანობის კიდევ ერთი დადასტურება იყო ისიც, რომ მორწმუნეთა ლოცვებს სინოდის წევრები ქართულ, ასირიულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე კითხულობდნენ.

ამას მოჰყვა საოცრად ლამაზი წუთები, როდესაც საქართველოში მოღვაწე სხვადასხვა ორდენების მონაზონთა ჯგუფმა ყვავილებით მორთული თეთრი ქსოვილი შემოიტანეს, საკურთხეველსა და მის წინ იატაკზე გადააფარეს, რითაც ერთი დიდი საკურთხეველი წამოიმართა შეკრებილთა წინაშე, რომელზეც სინოდის ქალბატონმა წევრებმა პური, ხოლო ბატონმა წევრებმა ღვინო დააღაგეს, საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდის „ალილუიას“ წევრებმა და ასირულ-ქალდეური საკრებულოს მგალობლებმა კი საკურთხეველი ანთებული სანთლებით შეამკეს. საოცრად ლამაზი და გულისშემძვრელი სანახაობა იყო: თეთრად კაშკაშებდა საკურთხეველი და მასზე მიმობნეული ყვავილები. ალბათ, წირვის მონაწილეებს არასოდეს დაავიწყდებათ ეს წუთები!

წირვის დასასრულს შეკრებილ მრევლს, სინოდის წევრებსა და სტუმრებს მიესალმა მთავარეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი:

**ძვირფასო მადალყოვლადუსამღვდლოესო ჯუზეპე, ყველა ჩვენგანი გულით გილოცავთ სამოციქულო ადმინისტრატორობის 10 წლისთავს. მინდა გადმოგცეთ წმიდა მამის, ბენედიქტე XVI-ის, მადლობა თქვენი თავდაუზოგავი მუშაობისათვის და აქ მყოფთა გულებიდან გადმოსული მადლობა. იცოდეთ, რომ თქვენთვის ლოცულობს წმიდა მამის, იოანე პავლე II-ის სულიც, რომელმაც თქვენი ეპისკოპოსად ხელდასხმა აღასრულა, ასევე, საკურთხეველის ზემოდან თქვენ გადმოგცქერიან ქართველი მღვდლები ემანუელ ვარდიძე და კონსტანტინე საფარიშვილი, რომლებმაც სისხლით დაამტკიცეს საკუთარი რწმენა.**

**ყველა მღვდლისა და ბერ-მონაზვნის სახელით გეუბნებით: მადლობა თქვენი სიკეთისათვის, თქვენი გულისათვის, შემართებისა და**

მოთმინებისათვის, აგრეთვე იმ ძალისხმევისათვის, რომელიც გეხმარებათ თქვენი სამწესოს გასაძლიერებლად.

დღეს სრულდება სინოდი, რომელმაც ბევრი რამ დაგვანახა და ერთად სიარული გვასწავლა. მადლობას ვუხდით უფალს, რომ მოგვიხმო, რათა ვიყოთ კათოლიკე ქრისტიანები, ამ რწმენას ერთგულებდნენ ჩვენი წინაპრები დევნის პერიოდში და ჩვენც უნდა ვუერთგულოთ. ყოველი წყალობა პასუხისმგებლობაცაა, ამიტომ სინოდი გამოხატავს არა მარტო უფლებას, არამედ პასუხისმგებლობასაც.

ვაი მას, ვისაც ეკლესია საკუთრად მიაჩნია, მოძმე კი – მოქიშპედ და რჩება კათოლიკედ მანამ, სანამ მისგან გამორჩენას ელოდება. საკუთარი ნათლობის დალატი ნიშნავს იესოს დალატს, როგორც იუდამ უდალატა მას.

უფრო დიდია მღვდელთა და ბერ-მონაზონთა პასუხისმგებლობა უფლისა და მრევლის წინაშე. ვხედავ, რომ აქაური მღვდლები დიდი თავდადებით იღვწიან და დღევანდელი შეკრებაც ამის თვალსაჩინო ნიშანია. ჩვენ დაგვეკისრა ეს მიძიმე მოვალეობა, რომ ვმწყემსოთ ფარა – ჩვენზე მონდობილი მრევლი.

მოგიწოდებთ, ძმებო, გავიზარდოთ რწმენაში, ყველა, უკლებლივ, ჩემი ჩათვლით და ღმერთმა ნუ ქნას, თუნდაც ერთი მოძმე დაგკარგოთ.

ასევე, გთხოვთ დიდი ყურადღება მივაქციოთ ღარიბებს. ეს დიდი განძია, რაც ღმერთმა დაგვიტოვა, მათი სახით ხომ თავად ქრისტე მოდის ჩვენთან. ასევე, ყურადღება მივაქციოთ ახალგაზრდებსაც, რომლებიც ჩვენი ეკლესიის მომავალია. რაც მთავარია, არ დავიშუროთ მათთვის სიყვარული, ჩავაბათ საქმიანობაში, გულისხმიერებით მოვეპყრათ მათ პრობლემებს. თუ ისინი ჩვენგან სიყვარულს იგრძნობენ, ისინიც სიყვარულითვე გვიპასუხებენ.

მაინც რა მომავალს გვისახავს სინოდი? მართალია, კათოლიკეები ცოტანი ვართ, არც გვისმენენ, მაგრამ თქვენ ხართ საქართველოს მოქალაქენი. გუშინ დავესწარი სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თეოლოგიის ინსტიტუტის მიერ გამომშვებული წიგნების პრეზენტაციას, რომელზეც ბევრი სახელოვანი ადამიანი იყო შეკრებილი. იქ მე თავი ამაყად ვიგრძენი. ვისა აქვს უფლება, რომ მეორეხარისხოვან ადამიანებად მიგვიჩინოს? როცა საქართველოს ჰიმნს ვმღერებართ გულზე ხელმიდებულები, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ჰიმნი კათოლიკე კომპოზიტორის მუსიკის მიხედვით დაიწერა. ასევე, სულხან-საბას ნაღვაწი საუკუნეების განმავლობაში დარჩება. არ უნდა დავივიწყოთ „კარიტასის“, კამილიელების, დედა ტერეზას დებისა და სხვათა ღვაწლიც საქართველოს წინაშე.

უკვე გამოჩნდა პირველი ნიშნები ძმური მოპყრობისა, განსაკუთრებით მართლმადიდებელთა მხრიდან. ვეცადოთ ვშიდა მამას, იოანე პავლე II-ს, რომელმაც იცოდა, რომ შეიძლება მასთან ერთად პირჯვარიც კი არ გადაეწერათ, მაგრამ ავადმყოფი და დაუძღვრებული მაინც ჩამოვიდა საქართველოში, რათა პირველი ნაბიჯი მას გადაედგა ერთიანობისაკენ მიმავალ გზაზე. ჩვენც არ უნდა გვქონდეს უმცირესობებისათვის დამახასიათებელი გულში ჩავუბეჭდილი ბოღმა,

არამედ მივბაძოთ ქრისტეს, რომელსაც მტერიც უყვარდა და მისთვის ღოცულობდა. არავინ დაგვიჯერებს, რომ ღმრთის შვილები ვართ, თუკი ძალადობაზე ვისაუბრებთ და შურისძიება გვექნება გულში. თუ უნდა ავირჩიოთ სამართლიანობასა და სათნოებას შორის, ჩვენ მაინც სათნოებას ვირჩევთ, რომელსაც სამართლიანობა მოსდევს.

გვანსოვდეს, ყველამ ერთად უნდა ვიღვაწოთ, რათა საქართველო ერთგული დარჩეს თავისი ტრადიციული ღირებულებებისა. მაგრამ ეს არ უნდა იყოს ტრადიციების მექანიკური გადაღება, არამედ გონიერი და გააზრებული ქმედება.

ძვირფასო, დებო და ძმებო, ერთად სვლისათვის იმედი, ვაჟკაცობა, ერთუზიაზმი და დიდი ძალისხმევა გვჭირდება. გვეყო წუწუნი და თვითგვემა, იესომ თქვა: ადექი და გაიარე!

**მივბაძოთ მას!**

წმიდა წირვის დასრულების შემდეგ ყველანი საზეიმო სუფრაზე მიიწვიეს.

სანამ სინოდის წევრებს, სამწყსო საბჭოს წევრებსა და ყველა შეკრებილთ სინოდის წიგნებს გადასცემდნენ, გაიმართა კონცერტი, რომელშიც კაპელა „ალილუია“, კვინტეტი „მეტეხი“ და სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის სოლისტი, დავით გველეხიანი, მონაწილეობდნენ.

სინოდი დაიხურა, მაგრამ დაიწყო ახლი გზა – კათოლიკე ეკლესიის ცხოვრებაში სინოდის გადაწყვეტილებებისა და დეკრეტების განხორციელების გზა.

**ციცინო ხითარიშვილი**

**ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო**

**სინოდის დასკვნითი ქადაგება**

**თბილისი, 2006 წლის 16 დეკემბერი**

სიხარულით მოგესალმებით ყველას: ღმრთისმსახურებსა და ბერ-მონაზვნებს, სემინარიელებს, სინოდის წევრებსა და სხვადასხვა საკრებულოთა საეროებს, – ყველას, ვინც მოვიდა ამ საგანგებო შეკრებაზე, რომელიც აგვირგვინებს სინოდს და, ამავე დროს, სინოდის შემდგომი პერიოდის დასაწყისს აღნიშნავს.

ვფიქრობ ასევე ხანდაზმულ, ავადმყოფ და დაუძღვრებულ ადამიანებზე, რომლებიც დაფარულ, თუმცა განუზომელ სიცოცხლისუნარიანობას ანიჭენებენ ეკლესიას: ყველანი ვგრძნობთ, რომ ეს ადამიანები ჩვენი გზის მნიშვნელოვანი მონაწილენი არიან.

ჩვენი სამოციქულო ადმინისტრაციის სახელით მაღლიერებით მივესალმები წმიდა საყდრის დესპანს, მეუფე კლავდიო გუჯეროტის, ვინც სულიერად გვაკავშირებს წმიდა მამა ბენედიქტე XVI-თან, მის მდივანს, სადესპანოს თანამშრომლებს, მამა ბენიამენს, ვინც, ასირიულ-ქალდეურ საკრებულოსთან ერთად, სრულად გაიზიარა სინოდის გზა, სომხური წესის კათოლიკეთა



წარმომადგენელს, მამა ემანუელს, სხვა ეკლესიათა წარმომადგენლებსა და ყველა იმ ძვირფას სტუმარს, ვინც მიიღო ჩვენი მოწვევა.

განსაკუთრებით მივესალმები მამა ანდრეის, მთავარ ვიკარიუსს, მამა ლუიჯის და მამა იეჟის, რომლებიც ავადმყოფობის გამო ვერ ესწრებიან ჩვენ შეკრებას, თუმცა მთელი გულით ჩვენთან არიან.

დღევანდელი ევქარისტია ერთობლივი გზის (სინოდის) კულმინაცია და წყაროა. ამ ევქარისტული და საიდუმლოებრივი ერთიანობის გარეშე ეკლესია არ არის სრულყოფილი. ღმრთის ახალი ხალხის ევქარისტია ყალიბდება ქრისტეს ევქარისტული სხეულის საფუძველზე, რომელიც ყოველადწმიდა ქალწულ მარიამისგან შობილი იესოს სხეულს წარმოადგენს. ამგვარად საეკლესიო სხეული განასახიერებს ქრისტეს სხეულს დროსა და ისტორიაში, იმ დამოკიდებულების ძალით, რომელიც განუყოფლად აკავშირებს მას ევქარისტულ სხეულთან. სწორედ ევქარისტის აღსრულებისას ახორციელებს ეკლესია, ღმრთის სიყვარულით შეკავშირებული ხალხი, თავის იდენტობას.

ევქარისტია, როგორც ჩვენი იდენტობის აღსრულება, მთელ ჩვენ ცხოვრებას უყრის თავს. სინოდის წევრები ამ ეკლესიაში შეიკრიბნენ დასკვნით სესიაზე, რომელზეც კენჭისყრის მეშვეობით იქნა მიღებული გადაწყვეტილებები ჩვენი მომავლის შესახებ. მადლობას გამოვხატავ სინოდის ყოველი წევრის მიმართ შესრულებული სამუშაოსთვის, ერთიანობისა და ოჯახური სიტბოს შეგრძნებისთვის, რომელიც ახლავდა სინოდის ორივე სესიას და იმ პასუხისმგებლობისთვის, რომლითაც ისინი მოეკიდნენ სამუშაოს.

სინოდის მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგებმა ეპისკოპოსთან მოიყარა თავი. დღეს კი მას წარმოვუდგენ მთელ ეკლესიას სინოდის წიგნის სახით. ეს წიგნი ჩვენთვის შემდგომი საქმიანობის მთავარ დასაყრდენად უნდა იქცეს. მსურს, რამდენიმე სიტყვით გადმოგცეთ ჩემი შეგრძნებები:

## 1. სინოდმა გამოავლინა გამბედაობა

სინოდმა მიგვითითა, რომ უახლოეს მომავალში სამი ძირითადი მიმართულებით უნდა ვიაროთ:

ა) უნდა ვიქონიოთ გამბედაობა, ვირწმუნოთ და ვისურვოთ ერთიანობა ჩვენ ეკლესიაში და სხვა ეკლესიებთან. ეს გაბედული არჩევანია, რადგანაც მხოლოდ საკუთარ თავზე, საკუთარ ინტერესებზე ფიქრი და ზრუნვა გაცილებით უფრო ადვილი იქნებოდა. მაგრამ ჩვენ ეს ადვილი გზა არ ავირჩიეთ. ჩვენ ერთიანობა გვჭირდება. განსაკუთრებით ამ მიწას ესაჭიროება ერთიანობა. ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ერთიანობა მართლაც დამკვიდრდეს ჩვენ შორის და ყველა სხვასთან ურთიერთობაში.

ბ) უნდა ვიქონიოთ გამბედაობა, ვესწრაფოთ ზრდასა და უფრო მეტად განსწავლას. ამისათვის დრო და მსხვერპლის გაღებაა საჭირო. უფრო ადვილი იქნებოდა (და არ დაგიმაღლავთ, სინოდის მსვლელობისას იყო ამგვარი ცდუნება) გაცილებით მოკლე, ნაკლებად დამღლევი გზა აგვეჩინა, იმ მოსაზრებაზე დაყრდნობით, რომ, თუ მორწმუნეთაგან ნაკლებ ძალისხმევას მოვითხოვდით, მათი რიცხვი გაიზრდებოდა. ამ ცდუნებას არ ავყვევით.

გ) უნდა ვიქონიოთ გამბედაობა, მივანიჭოთ საეროებს მეტი პასუხისმგებლობა და ვთხოვოთ მათ ამ პასუხისმგებლობის აღება. საუბარია

ჭეშმარიტ პასუხისმგებლობაზე, რომელიც ნიშნავს თანამშრომლობას, სამოციქულო საქმიანობის დაგეგმვასა და შესრულებაში თანამშრომლობას. აქაც უფრო ადვილია პასუხისმგებლობის თავიდან აცილება და თქმა: „ეს ჩემი საქმე არ არის“, ზოგჯერ კი არსებობს საფრთხე, ადამიანმა იფიქროს და თქვას: „ამას მე მივხედავ, რადგანაც სხვებზე უკეთ ვაკეთებ“. ჩვენ ეკლესიას ყველა თავისი წევრის ჩართვა სურს საქმიანობაში. არა მხოლოდ ღვთისმსახურები, არამედ საეროებიც უნდა იქცნენ ეკლესიის მთავარ მოქმედ პირებად. ეს არ იქნება იოლი, მაგრამ ჩვენ ასეთი არჩევანი გავაკეთეთ.

ეს სამი მიზანი ჩვენს ცხოვრებასავით გრძელი გზაა. ერთ მონაკვეთს რომ გავივლით, მაშინვე მეორეს შევნიშნავთ და, მაშასადამე, კვლავაც უნდა გავაგრძელოთ სვლა. მაგრამ ეს გზები უნდა გავიაროთ და ერთად უნდა გავიაროთ. ამ წელს მრავალჯერ შევთხოვეთ უფალს, მოეცა ჩვენთვის მოთმინება და ძალა. ეს კვლავაც უნდა ვითხოვოთ. მოგვეც უფალო, მოთმინება და ძალა!

## 2. სინოდი სული წმიდის ქროლვით იყო მოცული

სინოდის განმავლობაში მკაფიოდ შევიგრძენი თითოეული წევრის გულში გამეფებული შიშთან შერწყმული შეფიქრიანება. ხშირად მესმოდა: „ჩვენს ქვეყანაში პატარა ეკლესია ვართ და სახელმწიფო არ გვცნობს; დაგვცინიან, რადგანაც კათოლიკეები ვართ; მიტოვებულად და სუსტებად ვგრძნობთ თავს...“. ჩემი აზრით, სინოდი სერობაზე შეკრებილ შემინებულ მოციქულებს წააგავდა. დღეს სინოდი სრულდება და მოხმობილნი ვართ, წინ ვიაროთ გაბედულად და პასუხისმგებლობის გრძნობით. სული წმიდამ გაიქროლა და ჩვენ ვიგრძენით მისი მოძრაობა. სული წმიდა კი არასოდეს ტოვებს ვითარებას უცვლელად. თუ მივიღებთ სული წმიდას, ის ჯანსაღ ნიადად და ახალ სიცოცხლედ იქცევა. სული წმიდის ქროლვა არ აძლევს საშუალებას წყალს, დაგუბდეს და დაჭაობდეს, ნიავის ქროლვა ამოძრავებს და აფხიზლებს! სწორედ სული წმიდის წყალობით შეგვიძლია აღელვებული ზღვის გადალახვა. როგორც სინოდის წიგნში დავწერე, წყალზე სიარული შესაძლებელია. და თუკი გვეჩვენება, რომ ამას ვერ შევძლებთ, თუკი საკუთარი სისუსტისა და უუნარობის შეგრძნება გვთრგუნავს, იესო გვეუბნება: „გამხსენებო, მე ვარ, ნუ გეშინიათ!“

ხელახლა ერთად შევუდგეთ გზას. წინ მეორე ნაპირი გველის!!!

## 3. მადლიერება

დასასრულ, ნება მიბოძეთ, გთხოვოთ, რომ შემომიერთდეთ, რათა ერთად ვუთხრათ მადლობა უფალს ამ ათი წლისათვის, რომელთა განმავლობაშიც თქვენი მოძღვარი ვარ. პატიებას გთხოვთ ყველა ჩემი ფარგლების, სისუსტისა და შეზღუდულობის გამო. პატიებას გთხოვთ, თუკი დაღლილი ან გაუღიმარი გინახივართ. უფალმა მომიხმო ამ ამოცანის შესასრულებლად ისე, რომ ეს მე არ მისურვია. თუმცა, წმიდა მარიამის მსგავსად, მეც ვამბობ: მან ჩემი მეშვეობით დიდი საქმეები ჩაიდინა და დიდია მისი სახელი. მის სიახლოვესა და ჩემდამი ერთგულებას ვგრძნობდი. ერთი რამ შემიძლია დარწმუნებით გითხრათ: მიყვარს ჩვენი ეკლესია და მას საკუთარ სიცოცხლეს ვწირავ, თქვენ ყველანი

მიყვარხართ. ყოველდღიურად, ღოცვისას, გონებაში წარმომიდგება თითოეული ღმრთისმსახურის სახე და ვფიქრობ თქვენზე თქვენ-თქვენი პრობლემებით, ყოველდღიურად ვფიქრობ თქვენს საკრებულოებზე. ჩემთვის ყველანი ახლობლები ხართ.

ძვირფასო დებო და ძმებო,

სინოდმა ერთად სვლა გვასწავლა. ვიართო ერთად!!!

ღმრთისმშობლის სახელობის ამ მშვენიერ ეკლესიაში შევთხოვოთ მას დახმარება და ჩვენი და ჩვენი ოჯახების კურთხევა. ამენ.

**კათოლიკე ეკლესია საქართველოში**

## **ზეიმი ქუთაისში**

ქალწული მარიამის უბიწოდ ჩასახვის ქუთაისის კათოლიკური ეკლესიას საბირკველი 1814 წელს ჩაეყარა, მშენებლობა 1826-30 წლებში დაიწყო, მღვდელმსახურ ფილიპეს დროს. მძიმე მატერიალური პირობებისა და პოლიტიკური სიტუაციის გამო მშენებლობა რამდენჯერმე შეჩერდა, 1841 წელს კი ისევ განახლდა და მალე დასრულდა კიდევ. ეკლესიის კურთხევა 1862 წლის 4 ნოემბერს მოხდა და 8 დეკემბერს მისი სახელობის დღეც იდღესასწაულა. ასე გრძელდებოდა წლების განმავლობაში, სანამ კომუნისტური რეჟიმის პერიოდში ეკლესია არ დახურეს.

მას შემდეგ, რაც ქუთაისში მამა ჯუზეპე პაზოტო და მამა გაბრიელე ბრაგანტინი ჩამოვიდნენ, ტრადიცია ისევ აღდგა და მორწმუნეები ყოველწლიურად კვლავ ზეიმობენ ეკლესიის დღესასწაულს.

2006 წლის 8 დეკემბერს კვლავ საზეიმოდ შეიკრიბა კათოლიკეთა მრევლი. ეკლესიის ეზოში მრავალმა მორწმუნემ მოიყარა თავი. საკრებულოს წევრები, ყვავილებითა და ანთებული სანთლებით, ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის ბოლო მოძღვრის, დონ დამიანე სააკაშვილის საფლავისაკენ გაემართნენ, რათა პატივი მიეგოთ მისი ხსოვნისათვის, – მისთვის, ვინც 30 წლის განმავლობაში წინამძღვრობდა ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიას.

დონ დამიანე დაიბადა 1865 წლის 21 ივნისს, ქუთაისში. დიდი ნიჭით დაჯილდოებული დამიანეს მომავლის განსაზღვრაში დიდი როლი შეასრულა მისმა მამიდაშვილმა, ღმრთისმეტყველების პროფესორმა, დონ ივანე ანტონიშვილმა. მისივე რჩევით მან რომში მიიღო განათლება. ეს პერიოდი ნიჭიერი ახალგაზრდისათვის სხვადასხვა ენების (ლათინური, იტალიური, ფრანგული, პოლონური) დაუფლებისა და თეოლოგიასა და ფილოსოფიაში დრმა განსწავლის წლები იყო. იგი, სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად, ფიზიკური შრომის მოყვარულიც გახლდათ. სანიმუშოდ მოვლილი ეკლესიის ეზო დამშვენებული იყო ყვავილნარით, მარადმწვანე იშვიათი მცენარეებით, დიდი ბაღით, რომელსაც ირგვლივ გალავანი ჰქონდა შემოვლებული. აქ ყველაფერი მისი გემოვნებით იყო მოწყობილი. 1913 წელს ქუთაისში ჩასულმა კათოლიკეთა ეპისკოპოსმა განაცხადა: „მე ბევრგან მიმოგზავრია, დამითვალიერებია ბევრი ტაძარი, მაგრამ ასე სუფთად მოვლილი, დამშვენებული და შენახული არსად მინახავსო“.

ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის მრევლი, მამა გაბრიელე ბრაგანტინის წინამძღოლობით, სწორედ ამ ბაღში, მისი საფლავის გარშემო განლაგდა ანთებული სანთლებით ხელში. მოძღვრის საფლავზე ყველა მორწმუნემ „მამაო ჩვენო“ წარმოთქვა, ნანა მიზანდარმა ყვავილების თაიგულით შეამკო დიდებული მოძღვრის საფლავი, ხოლო პოეტმა დოდო ნებიერიძე-გაბრიჩიძემ დონ დამიანესადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა. ისმოდა საკრებულოს გუნდის გულში ჩამწვდომი საგალობლები.

მამა დამიანეს მოხსენიება გააშუქა ტელეკომპანია „რიონმა“. ჩვენი მსვლელობა მის საფლავთან და ინტერვიუ საკრებულოს რამდენიმე წევრთან იმ დღეს ტელევიზიით სამჯერ გადაიცა. მთელმა იმერეთმა მოისმინა და ნახა, თუ როგორ დააფასა კათოლიკურმა საკრებულომ ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის უკანასკნელი მოძღვარი – დონ დამიანე სააკაშვილი. აღსანიშნავია, რომ ჩვენს გვერდით მართლმადიდებელი მღვდელიც იმყოფებოდა.

დონისძიება ამით არ დამთავრებულა, მეუფე კალისტრატეს ნებართვით, მრევლი ეკლესიისაკენ დაიძრა. როგორც დიდი ხნის უნახავი შვილი, ისე მიიღო კათოლიკეთა მრევლი ეკლესიის წმიდა ხატებმა.

მაღლე მრევლი მართლმადიდებელ მოძღვრებს დაემშვიდობა და კათოლიკური ეკლესიისაკენ გასწია, სადაც დღესასწაულისადმი მიძღვნილი წმიდა წირვა აღესრულა. ამ დღეს ეკლესია ნაირფერი ყვავილებით იყო მორთული და ირგვლივ საზეიმო განწყობა სუფევდა. წმიდა წირვა იმ დღეს მამა კარლო დი სტეფანომ აღავლინა.

**დოდო ნებიერიძე-გაბრიჩიძე**

## **წმიდა გიორგის დღესასწაული უღესო**

23 ნოემბერს სრულიად საქართველო წმ. გიორგის წამების დღეს აღნიშნავს. ამ დღესასწაულს დიდი სიხარულით შეხვდა უდის სამლოცველო სახლის მრევლიც. 2006 წლის აპრილში ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ უდეს სალოცავი სახლი წმიდა გიორგის სახელზე აკურთხა, ამიტომაც ეს დღე ჩვენთვის ორმაგი დღესასწაული იყო.

ზეიმს მრავალი სტუმარი დაესწრო. სტუმრად იყვნენ კამილიელთა კონგრეგაციიდან: მამა ნინო მარტინი, მამა პავლე დილი, მამა აკაკი ჭელიძე; მონაზვნები: რემიჯია, კორინა და ელსი; მამა ვლადიმირი, მამა არტური, მამა ზურაბი; წყალთბილადან გვეწვივნენ სომეხი კათოლიკენი მამა ანატოლისა და სალუზიანელი მონაზვნების – ელიზაბეტის, ფლორასა და რიფსიმეს ხელმძღვანელობით. ჩვენთან ერთად იყვნენ სემინარიელებიც: პაატა ქომოშვილი, ოვსეფ ტარზიანი, შოთა გიქოშვილი. მომლოცველობა მოაწყვეს მორწმუნე კათოლიკეებმა მეზობელი სოფლებიდან: არლიდან, ვალედან, უნწიდან, აბასთუმნიდან, ივლიტიდდან, ახალციხიდან. რაც მთავარია, იმ დღეს ჩვენთან ერთად იმყოფებოდა ჩვენი ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტოც. მამა ჯუზეპემ, იმის მიუხედავად, რომ სინოდთან დაკავშირებით უამრავი სამუშაო აქვს, მაინც მოახერხა ჩვენთან ჩამობრძანება.

მამა იეჟიმ მადლობა გადაუხადა ყველა სტუმარს, რომელთაც გამონახეს დრო და ჩვენი ზეიმი გაიზიარეს. ქადაგებაში მამა ჯუზეპემ აღნიშნა, რომ თუ კათოლიკე ხან, ან, საერთოდ, ქრისტიანი ხარ, ამისათვის ისე უნდა იბრძოლო, როგორც წმ. გიორგი იბრძოდა სიმართლისა და სამართლიანობისათვის, უნდა შეგეძლოს მასავით გაწირო თავი.

წირვას განსაკუთრებულ ელფერს სძენდა ბავშვთა გუნდის მიერ შესრულებული გალობები. მართალია, ჩვენი გუნდი სულ ახლახან შეიქმნა, მაგრამ ბავშვები დიდი მონდომებითა და გულისყურით ეკიდებიან ამ სასიამოვნო საქმეს. წირვის დასასრულს დღესასწაულის ყველა მონაწილეს წმ. გიორგის ხატი გადაეცა და მოკრძალებულ სუფრაზე იქნა მიწვეული.

მინდა ჩვენი საკრებულოს სახელით დიდი მადლობა გადავუხადო ყველა სტუმარს. მათი ყოფნა ჩვენს სალოცავში დიდი მხარდაჭერა და იმედია, რაც ასე გვეჭირდება უდის მრევლს.

**მარინა ალექსაშვილი**

### **„კარიტასი“ სიყვარულია საკათედრო ტაძრის მოხალისეების პირველი შეხვედრა წეროვანში**

ამერიკული ორგანიზაცია CRS ფილიალი რამდენიმე წელია მოღვაწეობს თბილისში. ორგანიზაცია საქველმოქმედოა და, ძირითადად, ახალგაზრდების აღზრდასთან დაკავშირებულ პროექტებს აფინანსებს. CRS-ის გრანტებით რამდენიმე საგანმანათლებლო ორგანიზაცია, ძირითადად, სკოლები ფინანსდება. მიმდინარე წელს CRS-მა „საქართველოს კარიტასის“ მეშვეობით ტრენინგები ჩაატარა სხვადასხვა საკრებულოებიდან წარმოგზავნილი მოხალისეებისათვის. მისი მიზანი იყო მოხალისეებისათვის ესწავლებინათ საქველმოქმედო პროექტების მომზადებისა და განხორციელების უნარ-ჩვევები. ჩატარდა სამი საწვრთნელი შეხვედრა, რომლის დროს ათვისებულ იქნა, თუ როგორ უნდა წარმართულიყო საქველმოქმედო საქმიანობა საკრებულოებში და როგორ მომზადებულიყო სათანადო პროექტები. ტრენინგების დასასრულს, ყველა მსურველს საშუალება მიეცა გამოეცადა საკუთარი თავი და მოემზადებინა მცირეებიუჯეტოანი პროექტი, ანუ საკუთარ საკრებულოში განეხორციელებინა საქველმოქმედო საქმიანობა. პროექტის შედგენას საკმაოდ მცირე დრო დაეთმო, მაგრამ მოხალისეთა უმრავლესობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ კარგად გაართვეს თავი მოცემულ ამოცანას. გამარჯვებულთა შორის აღმოჩნდა თბილისის მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძრის საკრებულოს წევრი ნინო ჭანტურია. მის მიერ მომზადებულმა პროექტმა, რომელიც მიზნად ისახავდა მრევლის ხანდაზმული და სოციალურად დაუცველი წევრებისათვის საქველმოქმედო დახმარების აღმოჩენას, კონკრეტული დასაბუთების გამო, CRS-ის კომისიის ყურადღება მიიპყრო და პირველი მცირეებიუჯეტოანი გრანტიც მოიპოვა. გამარჯვებულ პროექტში, საქველმოქმედო საქმიანობის გარდა, შედიოდა საკრებულოს ახალგაზრდა წევრებისაგან მოხალისეთა ჯგუფის ჩამოყალიბებაც.

ეკლესიის მოძღვრის მამა ანდრეი გრაჩევისა და სამწყსო საბჭოს წევრების დახმარებით, მალე შეიქმნა მრევლის ახალგაზრდა წევრები, რომლებმაც ქალბატონ ნინოსა და სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ინსტიტუტის პროფესორ ნუგზარ ბარდაველიძის ხელმძღვანელობით და მამა პიერ დიუმულენის უშუალო მონაწილეობით, წეროვანის საეპარქიო სახლში სამეტაპიანი სპეციალური ტრენინგები გაიარეს. სპეციალურად მომზადებული პროგრამა, რომელიც გამოყენებითი ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის თანამედროვე სწავლებების გათვალისწინებით იყო მომზადებული და ინტერაქტულ მეთოდებს მოიცავდა, საკათედრო ტაძრის ახალგაზრდა წევრებმა და თეოლოგიის ინსტიტუტის სტუდენტებმა საკმაო ინტერესითა და ხალისით აითვისეს.

ტრენინგში მონაწილეთა ჯგუფი იმითაც გამოირჩეოდა, რომ იგი ინტერკონფესიური გახლდათ. კათოლიკეებთან ერთად მასში მართლმადიდებელი და პროტესტანტი ქრისტიანებიც მონაწილეობდნენ, ვინაიდან ქველმოქმედებას საზღვრები არ გააჩნია, იგი არც მონოეთნიკურია და არც მონოკონფესიური.

„კარიტასის“ ჯგუფის ინტერკონფესიურობა ნათლად ასახავს მთლიანი ქვეყნის სურათსაც – საქართველოც ხომ სხვადასხვა კონფესიებისა და რელიგიების მიმდევართა ერთობაა. ჩვენი ურთიერთსიყვარული და ერთობა ყველა ჩვენი სამომავლო საქმის წარმატების საწინდარია.

სპეციალურ ტრენინგავალი მოხალისეები კი უკვე დეკემბრის თვიდან თავიანთ პირველ დამოუკიდებელ აქციას ჩაატარებენ. ადვენტის პერიოდში, წეროვანში ტრენინგებზე მიღებულ თეორიულ ცოდნას პრაქტიკულ გამოცდილებად აქცევენ და ეცდებიან შვება და სიხარული მიანიჭონ ხანდაზმულ, ამაგდარ ადამიანებს, რათა ოდნავ მაინც შეუმსუბუქონ მარტოობა.

მრავალ პრაქტიკულ გამოცდილებასთან, უნარ-ჩვევებთან ერთად, საკათედრო ტაძრის „კარიტასის“ მოხალისეებმა წეროვანის ტრენინგების მეშვეობით „კარიტასის“ მთავარი არსი შეიმეცნეს, „კარიტასი“ ეს უბრალოდ – სიყვარულია. სიყვარული კი არანაირი საწყაოთი არ იზომება. ის, უბრალოდ, უნდა გასცე.

**ნუგზარ ბარდაველიძე**

## **მოწოდებულთა სამწლიანი შეხვედრა დასრულდა**

შეხვედრა, რომელიც ორპირში შედგა, ძალზე საინტერესოდ წარიმართა. მისი მთავარი თემა რწმენის განმტკიცებას შეეხებოდა და სიმბოლურად მიესადაგებოდა ამ შეკრებას, რადგან მოწოდებულთა სამწლიანი შეხვედრები ამით დასრულდა.

ამ სამი წლის განმავლობაში განცდილი ყოველი ბედნიერი წუთისათვის მადლობა გვინდა გადავუხადოთ ჩვენს საყვარელ მოძღვარს, მამა ზურაბ კაკაჩიშვილს და ჩვენთვის ახლობელ და ძვირფას მონაზვნებს: ლორედანას, კორინას, ფლორას და ჰორონიკს.

ჩვენი შეკრებების ხალისიან განწყობას ოდნავ ჩრდილს აყენებს გარეშეთა მიერ ჩვენი შეხვედრების არასწორი გაგება, ზოგიერთი ამას მონასტერში წასვლად, ჩვენ კი – მონაზვნებად აღგვიქვამს. მათ ის კი ავიწყდებათ, რომ ხუთიოდე შეხვედრით ვერც მონაზონი გახდები და ვერც მონასტერში დამკვიდრდები. ეს შეხვედრები ახალგაზრდებს ეხმარება რწმენაში გაიზარდონ და მომავალში სწორად აირჩიონ თავიანთი ცხოვრების გზა, რათა შეძლონ

საკუთარი თავის სრული განხორციელება. ხშირად, როდესაც ახალგაზრდები მონასტერში მიდიან, მათი ამ გადაწყვეტილების გამო, მშობლების წინააღმდეგობას აწყდებიან, რის შედეგადაც ზოგიერთი მათგანი ისევ სახლში ბრუნდება. ეს, ალბათ, იმის ბრალია, რომ მათ საკმარისი რწმენა არ აღმოაჩნდათ.

იმედს ვიტოვებ, რომ, ყოველი ჩვენგანი თუ არა, რამდენიმე მაინც გაჰყვება იესოს გზას მონაზვნური ცხოვრების სახით, დანარჩენები კი – ოჯახის შექმნით შეუდგებიან ქრისტეს გზას. ორივე გზა მძიმე ჯვარია და სათანადოდ მომზადებულებმა უნდა გავიაროთ ის. ამ შეხვედრებზე შექმნილი ცოდნა დაგვეხმარება, რათა ვიყოთ საუკეთესო მშობლები და მეუღლეები, მივცეთ ჩვენს შვილებს ქრისტიანული აღზრდა.

როგორც მამა ზურაბმა მოგვიწოდა, მივენდოთ ღმერთს და ნურაფრის შეგვეშინდება, რადგან ღმერთი ყველაფერს შეგვაძლებინებს.

**მარინე ჭავჭავაძე**  
უღე

## **კონფერენცია „საქართველოს კარიტასში“**

საფრანგეთის კარიტასის ინიციატივითა და საქართველოს კარიტასის მხარდაჭერით 24-28 ოქტომბერს თბილისში ჩატარდა კონფერენცია თემაზე “მშვიდობის შენება და კონფლიქტების მოგვარება კავკასიის რეგიონში”. კონფერენციას ხუთი ქვეყნის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი და საფრანგეთი) წარმომადგენელი 35 მონაწილე დაესწრო, ისინი კავკასიის სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოვიდნენ: მათ შორის აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან.

კონფერენციის გახსნაზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს კარიტასის თავმჯდომარე, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, გენერალური დირექტორი მამა ვიტოლდ შულჩინსკი, საფრანგეთის კარიტასის პრეზიდენტი ბატონი ჟან პიერ რიშარი. წმინდა საყდრის დესპანის პირველმა მდივანმა მონსინიორ როლანდას მაკრიკასმა მთავარეპისკოპოს კლავდიო გუჯეროტის მისალმება წაიკითხა.

თბილისის კონფერენცია რიგით მეორე იყო ამ ტიპის შეხვედრებს შორის. პირველი ჩატარდა კისლოვოდსკში 2004 წელს, სადაც ისევე როგორც თბილისში, ძირითადი მონაწილეები იყვნენ ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც აქტიურად მუშაობენ განათლების, კონფლიქტების მოგვარების, ადამიანის უფლებების დაცვის, ლტოვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების, ქალთა პრობლემებისა და სხვა სფეროებში.

კონფერენციის მსვლელობისას მონაწილეებმა მონახულეს საქართველოში მიმდინარე პროექტები, გაეცნენ არსებულ რესურსებს და მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოებს, გაიზიარეს ერთმანეთის გამოცდილება და წარმოადგინეს პრაქტიკული მაგალითები.

კონფერენციის მონაწილეებმა გადაწყვიტეს, გააგრძელონ და გააღრმავონ ურთიერთობა და თანამშრომლობა და ახლო მომავალში შეხვდნენ ერთმანეთს ისევ კავკასიაში, მომავალი პროექტების ერთად განხორციელების მიზნით.

**საუბარი მკითხველთან**



## შობის ვარსკვლავი

*როცა მათეს სახარებაში საუბარია იესოს შობის შესახებ, ნახსენებია ვარსკვლავი. ვთხოვთ განმიმარტოთ, რა დანიშნულება აქვს ამ ვარსკვლავს? ნამდვილად გამოჩნდა თუ არა ეს ვარსკვლავი?*

ლალი  
ქუთაისი

ძვირფასო ლალი,

ძველი აღმოსავლეთის ხალხები (კერძოდ, სპარსელები, ეგვიპტელები, შუამდინარელები) დიდ ყურადღებას აქცევდნენ მნათობებს; მათი იდუმალი განლაგება ცის კაბადონზე მათ ღმერთს ახსენებდა. მნათობთა გადაადგილების უზუსტესი ციკლი საკრალურ რიტმულობას ანიჭებდა მიწიერ მოვლენებს, განსაკუთრებით კი რელიგიურ კალენდრებს. მნათობებთან მათი “შეყრა” და “გაყრა” სევდიან და მხიარულ მოვლენებზე წინასწარმეტყველებდა. იმ დროს არსებობდა “მეცნიერება” ასტროლოგია, რომელიც სიტყვასიტყვით ნიშნავს მნათობთა წვდომას. ფიქრობდნენ, რომ ისინი ადამიანის ბედისწერაზე ახდენდნენ გავლენას. სწორედ ამ სულით მოქმედებენ ის მოგვები, ვის შესახებაც საუბარია მათეს სახარებაში. ძველი სემიტები მიიჩნევდნენ, რომ ცაზე ახალი ვარსკვლავი ყოველთვის მაშინ გაჩნდებოდა, როგორც კი დედამიწაზე დიდი პიროვნება დაიბადებოდა. როგორც ჩანს, იგივე შეხედულება ამოძრავებდათ მოგვებს, როდესაც მათ ჰეროდეს ამცნეს: “დავინახეთ მისი ამომავალი ვარსკვლავი”.

ზოგიერთი ეგზეგეტიკოსი მიიჩნევს, რომ ამ ფაქტებს ახსნა, პირველ რიგში, უნდა მოექმნოს იუდაიზმის აპოკალიპტურ ლიტერატურაში, სადაც ვარსკვლავები, ანგელოზთა მსგავსად, ღმრთაებრივი ნების მაუწყებლებად იყო მიჩნეული. წმ. იოანე ოქროპირი ამბობდა, რომ ვარსკვლავი როგორც ასეთი, არ იყო “რეალობა”, არამედ “ხედვა”. ვარსკვლავს გადევნებული მოგვების გზა ღმრთის ძიების შესახებ მეტყველებს. წმ. პავლე იხსენებს, თუ როგორ შეიძლება ღმრთის მოძებნა ქმნილებების მეშვეობით; რომ ღმერთი მოიძებნება თუნდაც “ხელის ცეცებით”.

დღეს უკვე მეცნიერულად აშკარაა, რომ ბაბილონელი ასტროლოგები (უსათუოდ, მათეს სახარებისეული “მოგვები”) ელოდნენ “წუთისოფლის მეფის” შობას ქრისტეს შობამდე 7 წლიდან. ეს თარიღი, 7 წელი, იმ თარიღებს შორის განიხილება, რომელთაც მეცნიერები ქრისტეს შობის ყველაზე საიმედო თარიღად მოაზრებენ. დიონისე მცირეს 533 წელს შეცდომა მოუვიდა და დაახლოებით 6 წლით გადმოსწია წინ ქრისტეს შობის თარიღი.

ამგვარია ეტაპები, თუ რატომ ჩავიდნენ მოგვები იუდეაში და რატომ ჰკითხეს მეფე ჰეროდეს: “სად დაიბადა იუდეველთა მეფე, მისი ვარსკვლავი ვიხილეთ აღმოსავლეთში?”.

1603 წლის დეკემბერს კეპლერი, თანამედროვე ასტრონომიის ერთ-ერთი მამათავარი, პრაქიდან დააკვირდა იუპიტერისა და სატურნის კავშირს თევზების



თანავარსკვლავედთან. კეპლერმა დაადგინა, რომ სავარაუდოდ იმავე ფენომენს ჰქონდა ადგილი იმ 7 წელს. მან ეს აღმოაჩინა რაბინ აბარბანელის ხელნაწერის ძველი მინაწერით, სადაც ნათქვამია, რომ, ებრაელთა რწმენით, მესია უნდა გამოჩენილიყო სწორედ მაშინ, როდესაც თევზების თანავარსკვლავედი, იუპიტერი და სატურნი ურთიერთკავშირში იქნებოდნენ. იმხანად ამ აღმოჩენას დიდი ინტერესი არ გამოუწვევია, თუნდაც იმიტომ, რომ ჯერ კიდევ არ იყო აღიარებული დიონისე მცირის შეცდომა. ორი საუკუნის შემდეგ, დანიელმა მეცნიერმა, მიუნტერმა, აღმოაჩინა, რომ, დანიელის წინასწარმეტყველების მიხედვით, მესიის მოლოდინი კვლავ კავშირშია იუპიტერის, სატურნისა და თევზის თანავარსკვლავედის ურთიერთმიმართებასთან.

1902 წელს გამოქვეყნდა ე. წ. “მნათობთა ტაბულა”, რომელიც ამჟამად ბერლინის მუზეუმშია დაცული. ამ ეგვიპტურ პაპირუსს უზუსტესად მოჰყავს მნათობთა მოძრაობა ქრისტეს შობამდე 16 წლიდან ქრისტეს შობის შემდეგ 10 წლამდე. ამდენად, კეპლერის გამოთვლამ საბოლოო საყრდენი იპოვა, რაც უშუალოდ ეყრდნობოდა ეგვიპტურ გამოკვლევებს, რომლებმაც მნათობთა ტაბულა შეადგინეს. სწორედ 7 წელს დაფიქსირდა კავშირი იუპიტერსა და სატურნს შორის და ეს მთელს ხმელთაშუაზღვისპირეთში გახდა ცნობილი.

დაბოლოს, 1925 წელს გამოქვეყნდა ე.წ. სიპარის მნათობთა კალენდარი. ეს არის თიხის ფირფიტა, სამკუთხა ფორმისა, ეგვიპტეზე გაშენებულ ქალაქ სიპარიდან, ბაბილონური ასტროლოგიური სკოლის მნიშვნელოვანი ცენტრიდან. იქ მოყვანილია იყო 7 წელს დაფიქსირებული მნათობთა ყველა მოძრაობა კავშირი; რატომ მაინცა და მაინც ამ წელს? რადგანაც ბაბილონელი ასტროლოგების მიხედვით, 7 წელს კავშირი იუპიტერს, სატურნსა და თევზის თანავარსკვლავედს შორის სამჯერ მაინც დაფიქსირდა: 29 მაისს, 1 ოქტომბერს და 5 დეკემბერს. აღსანიშნავია, რომ ეს თანხვედრა ყოველ 7904 წელიწადში ერთხელ მეორდება, 7 წელს კი ასეთი თანხვედრა სამჯერ მოხდა. აქროლოგებმა ასევე მოახდინეს ბაბილონური ასტროლოგიის სიმბოლოების ამოხსნა. იუპიტერი იყო სამყაროს მეუფე; სატურნი – ისრაელის მფარველი პლანეტა; თევზის თანავარსკვლავედი – დროთა აღსასრულის ნიშანი ანუ ახალი მესიანური ერის დასაწყისი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათეს სახარებისეული ეპიზოდს აღმოსავლელ ბრძენთა ჩამოსვლაზე და შეკითხვაზე “სად დაიბადა იუდეველთა მეფე?” დიდი სიმბოლოური მნიშვნელობა აქვს.

თუკი დღეს უკვე ნათელია, რომ მთელი აღმოსავლეთი ელოდა მესიას, რომელიც ისრაელიდან უნდა მოსულიყო, ქრისტიანებს სრული უფლება აქვთ, თქვან, რომ მესიის უამი ნამდვილად დადგა.

**მეუფე გაბრიელე ბრაგანტინი**

## **ჟურნალ „საბას“ მკითხველებს**

მე ბათუმელი კათოლიკე ქრისტიანი ვარ და მსურს გაგიზიაროთ ჩემი ნააზრვეი და ნაფიქრალი.

1995 წლამდე მონათლული ქრისტიანი ვიყავი, მაგრამ სარწმუნოებისა ბევრი არაფერი გამეგებოდა. ვიყავი ე. წ. ტრადიციით კათოლიკე ქრისტიანი და გარდა „მამაო ჩვენოსი“ და ორიოდვე ლოცვისა, პირჯვრის გადაწერისა და სანთლების ანთებისა, არაფერი გამეგებოდა. მამა გაბრიელეს მიერ ბათუმში

შეკრებილ მრევლთან ერთად დავიწყე ქრისტიანული მოძღვრების შესწავლა. გავიარე კატეხიზაცია, მივიღე ზიარება, მირონცხება, აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი „კამპოსკოლაში“, გავიარე კატეხიზაციის ორწლიანი კურსი ორპირში. ყოველივე ამან ბევრი რამ შემძინა სულიერების მხრივ, ჩამომიყალიბდა დილის და საღამოს ლოცვების, ბიბლიის ყოველდღიური კითხვის ჩვევა, რაშიც ძლიერ დამეხმარა ჩვენი საეკლესიო კალენდარი.

გამუდმებით ვფიქრობ ქრისტიანთა შორის განხეთქილებაზე. რამ გამოიწვია ეს გათიშულობა? როდესაც მაცხოვარი ჩვენი, ადამიანების, გულისათვის ჯვარს ეცვა, ჩვენი სიყვარულისთვის დაითმინა იმდენი ტანჯვა და შეურაცხყოფა, როგორ ვუპასუხეთ ჩვენ მის სიყვარულს? ქრისტე არ მოსულა რომელიმე კონკრეტული ერის, რასის, სქესის ან ადამიანთა ჯგუფის სახსნელად. ღმრთის მიერ მისი მხოლოდშობილი ძის ადამიანებისადმი წარგზავნა მისი სიყვარულის უდიდესი გამოხატულებაა ჩვენდამი. ქრისტე ასე მიმართავს მოწაფეებს: „წადით და ასწავლეთ ყველა ხალხს, და ნათელი ეცით მამის და ძის და სულის წმიდის სახელით; ასწავლეთ მათ დაიცვან ყველაფერი, რაც მე ვიბრძანეთ (მათ. 28).

ქრისტეს მცნებათაგან ერთ-ერთი უმთავრესია სიყვარულის მცნება. სერობისას იესო ეუბნება თავის მოწაფეებს: „ახალ მცნებას გაძლევთ თქვენ: გიყვარდეთ ერთმანეთი; როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, თქვენც ისე გიყვარდეთ ერთმანეთი“ (იოან. 14, 34).

იესო გვასწავლის: „გიყვარდეთ თქვენი მტრები, დალოცეთ მათი მაწყევრები, სიკეთე უყავით თქვენს მოძულეებს და ილოცეთ მათთვის, ვინც თქვენ გავიწროებთ და გდევნით“ (მათ. 6, 44).

იუდეველთა დიდმა ნაწილმა არ მიიღო ქრისტეს სწავლება, რადგან ისინი ელოდნენ მესიას, რომელიც მათ უპირატესობას მისცემდა სხვა ხალხებზე, გააბატონებდა მათ. ისინი ზრუნავდნენ არა სულიერზე, არამედ ხორციელზე. ვფიქრობ, ეს არა მარტო იუდეველთა, არამედ საერთო, ადამიანური სისუსტეა. ქედმაღლობა, შური, ამპარტავნობა, საკუთარი ფიზიკური უპირატესობით ტკობა მიზეზია ადამიანთა შორის განხეთქილებისა. როგორ შეიძლება ადამიანს თავი მორწმუნედ მიაჩნდეს, გარეგნულად ასრულებდეს ქრისტიანულ მოვალეობებს, გულში კი შური და ბოღმა ჰქონდეს?! განა ეს არ იყო საფუძველი დიდი განხეთქილებისა და, შედეგად, ქრისტეს ეკლესიის გაყოფისა?

საყოველთაო ეკლესიას მოიხსენიებენ კათოლიკედ, ხოლო აღმოსავლეთისას – მართლმადიდებლად. როგორ შეიძლება ქრისტეს ეკლესია იყოს კათოლიკე, ანუ საყოველთაო და არ იყოს მართლმადიდებელი, ან იყოს მართლის მადიდებელი და არ იყოს საყოველთაო? ეს აბსურდია. ქრისტეს მოძღვრება, ქრისტეს ეკლესია კათოლიკე და, ამავე დროს, მართლმადიდებელია. განა ეს არ გვიწერია მრწამსში კათოლიკეებსაც და მართლმადიდებლებსაც? ამის გამო კი განხეთქილება ითესება და ამით დიდ ტკივილს ვაყენებთ ჩვენთვის ჯვარცმულ იესოს.

ვფიქრობ, მცდარია აგრეთვე, როდესაც ეკლესიას რომელიმე ერის კუთვნილებად ასახელებენ, ესეც ადამიანური მიკერძოებულობიდან გამომდინარეობს. ქრისტიანული ეკლესია არის უფლის ტაძარი, ის შეიძლება იმყოფებოდეს და მოქმედებდეს ნებისმიერ ქვეყანაში, მაგრამ ის უფლის და მისი ერის კუთვნილებაა. ღმერთი არ ანსხვავებს ადამიანებს რასის, ეროვნებისა და

ფიზიკური ნიშნების მიხედვით, მისთვის ყოველი ადამიანი ძვირფასია. ჩვენ ვაღდებულნი ვართ მის დიდ სიყვარულს სიყვარულითვე ვუპასუხოთ. ადამიანს უნდა უყვარდეს თავისი სამშობლო, თავისი ერი, მაგრამ ამ სიყვარულმა არ უნდა გამოიწვიოს სხვაზე უპირატესობის გრძნობა. როგორც წმიდა პავლე თავის წერილში კორინთელთა მიმართ გვასწავლის, არ უნდა იყოს ჩვენს შორის შური და დავა, არ უნდა იყოს ზოგი პავლესი, ზოგი აპოლოსი, ზოგი ვისი და ზოგი ვისი...

უნდა ვეცადოთ სრულყოფით ჩვენი ცხოვრება უფლის მცნებათა შესაბამისად და ჩვენს გულებში აღმოვფხვრათ შური და პირადული ამბიციები, ადამიანთა შორის განხეთქილების კერა.

„საბას“ მკითხველებს ვთხოვ, გამოთქვან ამ საკითხების შესახებ საკუთარი აზრი.

**თენგიზ პარმაქსიზიშვილი**  
ბათუმი

სოციალური პრობლემები

## აბორტი – მოლოქის თაყვანისცემა

1993 წელს ველინგტონის შტატში უდოლ ბრინდმა გამოსცა ნაშრომი სათაურით “ხელოვნური აბორტი – მკერდის კიბოს რისკი”. მისი კვლევა ნიშანდობლივია ძირითადად შემდეგი დასკვნების გამო:

- კიბოს წარმოშობის საშიშროება იზრდება 80%-მდე იმ ქალებში, რომლებმაც 18 წლის ასაკამდე გაიკეთეს აბორტი;

- ყოველი შემდგომი აბორტისას კიბოს წარმოშობის ალბათობა იზრდება;

- სიმსივნური წარმონაქმნის მქონე ქალებს, აბორტის შემდგომ, კიბოს გაცილებით მძიმე ფორმა უყალიბდებათ, ვიდრე მათ, რომლებსაც არ გაუკეთებიათ აბორტი;

ამ სახის გამოკვლევა მიგვანიშნებს ღმრთის რჯულზე. ღმერთმა დაადგინა კანონი იმისთვის, რომ დაგვიცვას ჩვენ სულიერად და ფიზიკურად.

ხელოვნური აბორტი, ესაა ბაყალის (წარმართული ღვთაების) თაყვანისცემა. რიტუალი გულისხმობდა პირველშობილი ბავშვის სრულად დაწვას. ბიბლიაში მეფეთა 4-ე წიგნის მე-16 და 21-ე თავებში საუბარია მოლოქის (ბაყალის) თაყვანისცემაზე, ხალხს სჯეროდა, რომ ამ სახის თაყვანისცემა წარმატებისა და აყვავების მომტანი იქნებოდა.

ბაყალის საკურთხეველი ადამიანის სხეულის ფორმის მსაგავსი იყო, მხოლოდ ხარის თავით. კერპს ხელები გამოწვდილი ჰქონდა წინ, შიგნით კი ცეცხლი ენთო. ბაყალის ქურუმები სვამდნენ ბავშვს კერპის (ქანდაკების) ხელებში, საიდანაც იგი ვარდებოდა ცეცხლში. ქურუმი ყოველთვის იყო 2 ან მეტი და აუცილებლად ქალი და მამაკაცი.

არც თუ ისე დიდი ხნის წინ არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ბაყალის სამარხი, სადაც 20 ათასზე მეტი ბავშვი იყო დამარხული.

ბიბლიაში ნათლადაა ნათქვამი, რომ ყოველი ბავშვი ღმრთის საჩუქარია. მეცნიერებმა კი არაჩვეულებრივი დამთხვევა დაინახეს მუცლად მყოფი ბავშვის განვითარებასა და ებრაულ დღესასწაულთა მიმდევრობას შორის:

*გამოსვლის წიგნის მე-12 თავში აღწერილია პასექის დღესასწაული, იმართება პირველი თვის მეთოთხმეტე დღეს. ზეიმის დროს მაგიდაზე დებენ კვერცხს, რაც ახალი სიცოცხლის სიმბოლოა.*

*სამედიცინო ფაქტი: მეთოთხმეტე დღეს მწიფდება კვერცხუჯრედი*

*შემდეგი დღეს უნდა გაიმართოს უფუარობის დღესასწაული, წინააღმდეგ შემთხვევაში ზეიმი ჩაშლილად ჩაითვლება.*

*სამედიცინო ფაქტი: განაყოფიერება უნდა მოხდეს მომდევნო 24 საათის განმავლობაში*

*პირველნაყოფთა მოწვევის დღესასწაული იმართება 2-6 დღის შემდეგ.*

*სამედიცინო ფაქტი: განაყოფიერებული კვერცხუჯრედი ეკვრის საშვილოსნოს მომდევნო 2-6 დღეში*

*შვიდეულთა (ორმოცდაათობის) დღესასწაული დგება 50 დღის შემდეგ. ამ დღეს სული წმიდის მიერ შეიქმნა ეკლესია.*

*სამედიცინო ფაქტი: ორმოცდამეათე დღეს ემბრიონი იღებს ადამიანისებრ ფორმას*

*გამოსვიდვის დღე – მეშვიდე თვის მეათე დღე. ეს ერთადერთი დღე იყო, როცა მღვდელმთავარი “წმიდათაწმიდაში” შედიოდა – სავანის შიგნითა ყველაზე საღვთო ნაწილში და იქ შესაწირავის სისხლს აკურებდა.*

*სამედიცინო ფაქტი: ამ დღეს ჩვილის ძვლის ტვინი იწყებს წითელი სისხლის სხეულების გამომუშავებას*

*კარვობის დღესასწაული იმართება მეშვიდე თვის მეთხუთმეტე დღეს, ამ დღეს ღმერთმა ადამს შთაბერა სიცოცხლის სული.*

*სამედიცინო ფაქტი: ამ დღიდან მოყოლებული მუცლად მყოფ ბავშვს უკვე შეუძლია ისუნთქოს ჰაერით, მაგრამ იმისათვის რომ დაიბადოს ძლიერი და ჯანმრთელი მას სჭირდება კიდევ 80 დღე.*

*ზუსტად 80 დღის შემდეგ, მიძღვნის დღესასწაულია.*

## **“შემიყვარე ისეთმა, როგორიც ხარ!”**

**(ლოცვა ეძღვნება ქალებს, რომელთაც გაიკეთეს აბორტი)**

ვიცი შენი საჭიროებანი, შენი ბრძოლა, შენი სხეულის სისუსტეები. ვიცი შენი სირთულეები, შენი ცოდვები და, მიუხედავად ყველაფრისა, გეუბნები: **“მომეცი შენი გული, შემიყვარე ისეთმა, როგორიც ხარ!”**

თუკი ელოდები, როდის გახდები ანგელოზი, რომ შეძლო სიყვარული, მაშინ, ვერასოდეს შემიყვარებ. მაგრამ არ ხარ მხდალი და ყველაფერს, რაც გევალება, კეთილსინდისიერად აკეთებ, თუმცა, ხშირად ვარდები ცოდვაში, რომლის გამეორებაც აღარ გსურს, მაგრამ არ დაუშვებ, რომ არ გიყვარდეს. **შემიყვარე ისეთმა, როგორიც ხარ!**

ყოველ წუთს, მიუხედავად იმისა, როგორ მდგომარეობაში იმყოფები, ეჭვებში თუ გამოფიტული სულიერად, მართალი ხარ ან არ ხარ მართალი, **შემიყვარე ისეთმა, როგორიც ხარ!** – მე მსურს შენი გასაცოდავებული გულის

სიყვარული, ვინაიდან, თუკი მანამდე მოიცდი, სანამ სრულყოფილი გახდები, - ვერასოდეს შემიყვარებ.

არ შემიძლო თითო კენჭისგან სერაფიმი შემიქმნა, ბრწყინვალე სიწმიდით, კეთილშობილებითა და სიყვარულით? ნუთუ არ ვარ ყოველისშემძლე? მაგრამ თუკი მსურს, რომ ცაში დავტოვო ეს საოცარი არსებანი, რათა უპირატესად მივიჩნიო შენი გულის უბადრუკი სიყვარული – არ ვარ ყოველთვის სიყვარულის ბატონი?

შვილო ჩემო, ნება მომეცი შეგიყვარო, მე მხოლოდ შენი გული მინდა. რა თქმა უნდა, თანდათან მე მთლიანად მოგიპოვებ შენ, მაგრამ დღეს, მე მიყვარხარ ისეთი, როგორიც ხარ, და მსურს რომ შენც გიყვარდე ისეთს, როგორიც ხარ. მინდა დავინახო შენს საჭიროებათა მთელი უფსკრულიდან როგორ ამოდის შენი სიყვარული.

მე მიყვარს შენში სისუსტეებიც კი, მე მიყვარს ღატაკთა და უბედურთა სიყვარული. მსურს, რომ მიწიერ საჭიროებათა სიღრმეებიდან დაუყოვნებლივ გავიგო ხმამაღალი ძახილი: “იესო, მე შენ მიყვარხარ!”

მსურს მხოლოდ ერთადერთი, – შენი გულის გაღობა; არ ვსაჭიროებ შენს სიბრძნეს და ტალანტებს. მხოლოდ ერთია ჩემთვის მთავარი: **დავინახო, როგორ იღწვი სიყვარულით.**

არ მსურს შენი კეთილი საქმეები, თუკი ამას მოგცემ, იმდენად სუსტი ხარ, რომ კეთილი საქმეები მხოლოდ გამოკვებას შენს ამპარტავნებას, მაგრამ ნუ ზრუნავ ამაზე; მე შემიძლო შენთვის წინასწარ განმესაზღვრა დიდებული საქმენი, მაგრამ არა – შენ უვარგისი მონა იქნები, და წაგართმევ იმ მცირედსაც კი, რაც გაგაჩნია, იმიტომ რომ მე მხოლოდ სიყვარულისთვის შეგქმენი.

დღეს შენი გულის კართან ვდგავარ როგორც ღატაკი – მე, უფალთა უფალი! გეძახი და გელოდები! – იჩქარე, კარი გამიღო! ნუ გადაერთვები მხოლოდ ამქვეყნიურ საჭიროებებზე. ბოლომდე რომ იცოდე შენი უბედურება, ტკივილისგან მოკვდებოდი.

ისე არაფერი მტკენს გულს, როგორც შენი დაეჭვებული გულის დანახვა, რომ არ ხარ დარწმუნებული ჩემში. **მსურს რომ ყველაზე უმნიშვნელო საქმეც კი ჩემი სიყვარულით გააკეთო.** მე წინასწარვე ვიცი, რომ დიდ სიხარულს მომანიჭებ!

ნუ განიცდი, რომ არ ხარ კეთილისმოქმედი – მე გჩუქნი ჩემსას. თუკი ტანჯვა მოგიწევს, ძალასაც მოგცემ ამისთვის. თუ შენს სიყვარულს მაჩუქებ, უკან იმდენს დაგიბრუნებ, რომ საბოლოოდ მიხვდები რას ნიშნავს გიყვარდეს, – გაცილებით მეტს, ვიდრე შენ ამის აღქმა შეგიძლია. **იფიქრე მხოლოდ ერთადერთზე, შემიყვარო ისეთმა, როგორიც ხარ!**

მე დედაჩემი მოგეცი. მიეცი ყველაფერი, ჰო ყველაფერი, მის წმინდა გულს!

რაც უნდა მოხდეს, ნუ დაელოდები სანამ წმინდა გახდები, რომ სიყვარული შეძლო; ასეთ შემთხვევაში – ვერასოდეს შემიყვარებ.

ახლა კი წადი!

## მოხალისეობა

რას არის მოხალისეობა

მოხალისეობა ეს არის ადამიანის თავისუფალი დროის, მისი ფიზიკური, პროფესიული და სულიერი შესაძლებლობების უანგარო გადაცემა მათთვის, ვინც ყველაზე მეტად საჭიროებს ამგვარ დახმარებას. მოხალისეობა ნიშნავს ჩვენი ცხოვრების სხვებისათვის გაზიარებას. ჩვენ უარს ვამბობთ ცხოვრების ჩვენ სტილზე, ჩვენს მოთხოვნებზე, რათა ყურადღება მივაქციოთ სხვა ადამიანების პრობლემებს და დავეხმაროთ მათ გადაჭრაში.

მოხალისეობად არ შეიძლება ჩაითვალოს ყოველგვარი საქმიანობა, თავისუფალი დროის უაზრო ხარჯვა. მოხალისეობა არ ნიშნავს ადამიანთა დახმარებას მხოლოდ იოლი გზით. მოხალისეობა მოიცავს სხვისი საჭიროებების შეცნობას და შემდგომ, მათი ყველაზე ადეკვატური გზით დაკმაყოფილებას. მოხალისეობა ხორციელდება სიყვარულითა და თანაგრძნობით, საკუთარი ცხოვრების სხვებისადმი გაზიარებით. ცხოვრების გაზიარება არ ნიშნავს მარტო რაღაცის მიცემას. ის უფრო მეტია, ვიდრე მიცემა, უფრო მეტია, ვიდრე ჩვენი თავის სრულად მიძღვნა. ცხოვრების გაზიარებით შენ არა მარტო გასცემ, არამედ იღებ სანაცვლოს.

ცხოვრების გაზიარება ნიშნავს იმის გაცნობიერებას:

რომ ჩვენ და ჩვენი დახმარების იმედად მყოფი ხალხი, ვართ ერთი სხეულის ნაწილი;

რომ საზოგადოება ვალდებულია იზრუნოს მისი წევრების უმწეო ნაწილზე;

რომ მის ყველა წევრს აქვს რაღაც, რითაც შეიძლება დაეხმაროს სხვებს;

რომ სხვაგვარად საზოგადოება ვერ გაიზრდება სულიერად.

თანაცხოვრების დროს ყველა ადამიანი თანასწორია, ადგილი არა აქვს მემკვიდრეობით ურთიერთობებებს, მდიდრების პრივილეგიას ღარიბებზე, ჯანმრთელების – უმწეოებზე.

## **ვინ არის მოხალისე**

მოხალისეა მოქალაქე, რომელიც თავისი პირადი (ოჯახში, სამსახურში) და სამოქალაქო (ადმინისტრაციული და პოლიტიკური ცხოვრება) მოვალეობების შესრულების შემდეგ, საკუთარ თავისუფალ დროს უანგაროდ უთმობს გაჭირვებული ადამიანების სამსახურს. მოხალისე თავის შესაძლებლობებს, თავისუფალ დროს უთმობს გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრები უმწეო ადამიანების მოთხოვნების დაკმაყოფილებას. მან იცის საზოგადოებაში არსებული პრობლემები, პოლიტიკური სიტუაცია და ა. შ.

## **მოხალისეობის ისტორია**

მოხალისეობის ისტორია იწყება ქრისტეს მოსვლით და ქრისტიანობის წარმოშობით. ის დაიბადა ქრისტეს კეთილი უწყებით, მისი სახარებით. იესო ნაზარეტელმა, როგორც ესაია წინასწარმეტყველმა თქვა, საკუთარ თავზე აიღო ჩვენი ცოდვები, ჩვენი ტანჯვა... მან ყველას შეუშრო თვალით ცრემლი.

ჩვენი ქცევის მოტივები და მოყვასისადმი ჩვენს მიერ გაცემული სიკეთე, შეიძლება ითქვას, აღდგება ქრისტეს პიროვნებით. მოხალისეობის მესიანური

ნიშანი პირდაპირაა დაკავშირებული ღარიბებისა და ავადმყოფების დახმარებასთან. იოანე ნათლისმცემელმა ქრისტეს თავისი მოწაფეები გაუგზავნა, რომ ეთქვათ მისთვის: შენა ხარ ის, ვინც უნდა მოვიდეს თუ სხვას უნდა ველოდოთ? იესომ უთხრა მათ პასუხად: „წადით მოახსენეთ იოანეს, რასაც ისმენთ და ხედავთ: ბრძეები ხედავენ და ხეიბრები დადიან, კეთროვნები იწმიდებიან და ყრუებს ესმით, მკვდრები ღვებიან და ღატაკებს ეხარებათ“ (მათე 11, 4-5; ლუკა 7, 22-23).

თავის მოწაფეებს, რომლებმაც ჰკითხეს, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთო, იესო უპასუხებს: „ვისაც უნდა, რომ მომყვეს, უარყოს თავისი თავი, აიღოს თავისი ჯვარი და გამომყვეს. ვინაიდან, ვიცას სურს თავის სულს გაუფრთხილდეს, ის დაკარგავს მას; ხოლო ვინც ჩემი გულისთვის დაკარგავს სულს, ის მოიპოვებს მას“ (მათე 16, 24-25); „ახალ მცნებას გაძლევთ თქვენ, გიყვარდეთ ერთმანეთი; როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, თქვენც ისე გიყვარდეთ ერთმანეთი“ (იოან. 13, 34); „იმაზე დიდი სიყვარული არ არსებობს, როცა ვინმე თავის სულს სწირავს თავისი მეგობრისათვის“.

ასეთი ქრისტიანი იქცევა, როგორც კეთილი სამარიელი, რომელიც რისკავს, არ ფიქრობს თავისი ღირსების დაცვაზე და ეხმარება გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანს: „...მერე ვიდაც სამარიელმა გამოიარა, დაინახა და შეიცოდა. მივიდა მასთან ჭრილობები შეუხვია, ზეთი და ღვინო დაასხა, შესვა თავის პირუტყვზე, მიიყვანა სასტუმროში და იზრუნა მასზე. მეორე დღეს ამოიღო ორი დინარი, მისცა სასტუმროს პატრონს და უთხრა: იზრუნე მასზე და თუ ზედმეტი ხარჯი მოგივა, როცა დავბრუნდებიო, მოგცემო“ (ლუკა 10, 33-35).

ბიბლიის ამ მონაკვეთიდან ჩვენ ვხედავთ მოწყალე დამოკიდებულებას, აქტიურ სამსახურს, რომლისკენაც იესომ მოგვიწოდა: „ვისაც თქვენს შორის სურს დიდი იყოს, ის თქვენი მსახური იყოს... ისევე, როგორც კაცის ძე არ მოსულა იმისათვის, რათა მას ემსახურონ, არამედ იმისათვის, რომ თავად მოემსახუროს და თავი შესწიროს მრავალთა გამოსასყიდად“ (მათე 20, 26-28; მარკ. 9, 35; მარკ. 10, 44; ლუკა 22, 2).

იესო ავისი მსხვერპლად შეწირვის წინ ფეხებს ბანს თავის მოწაფეებს და ეუბნება: „იცით რა გიყავით? თქვენ მე მიწოდებთ მოძღვარს და უფალს. სწორად ამბობთ, რადგანაც ვარ. ამიტომ, თუკი მე, მოძღვარმა და უფალმა დაგბანეთ ფეხები, თქვენც ერთმანეთს უნდა დაბანოთ ფეხები. რადგან მე მაგალითი მოგეცით, რათა, როგორც მე მოგექეცით, თქვენც ისე მოიქეცით“ (იოან. 13, 12-15).

ყოველივე ეს თავსდება ახალი აღთქმის მთლიან უწყებაში: „ნუთუ მადლობას ეტყვის მონას იმისათვის, რომ მისი ბრძანება შეასრულა? არა მგონია ასევე თქვენც, როცა შეასრულებთ ყველაფერს, რაც ნაბრძანები გქონდათ, თქვით: უსარგებლო მონები ვართ, ვინაიდან გავაკეთეთ ის, რაც უნდა გაგვეკეთებინა“. იმავე მიზნით გზავნის იესო თავის მოწაფეებს მთელ მსოფლიოში: „წადით... სნეულნი განკურნეთ... უსასყიდლოდ მიგიღიათ და უსასყიდლოდვე გაეცით“ (მათე 10, 8).

სხვებისადმი დახმარების საშუალებას ღმერთი გვაძლევს, როგორც საჩუქარს და ბოლო დღეს ჩვენ პასუხს ვაგებთ ღმრთის წინაშე იმისდა მიხედვით, თუ როგორ გამოვიყენეთ ეს მადლი: „მაშინ ეტყვის მეუფე, თავის მარჯვნივ მდგომთ: მოდი, მამაჩემის კურთხეულნი, დაიმკვიდრეთ წუთისოფლის დასაბამიდან თქვენთვის გამზადებული სასუფეველი. ვინაიდან მშვიდა და

საჭმელი მომეცით; მწყუროდა და მასვით; უცხო ვიყავი და მიმიღეთ, შიშველი ვიყავი და შ მმოსეთ; სნეული ვიყავი და მომაკითხეთ; საპყრობილეში ვიყავი და მომაკითხეთ“ (მათე 25, 34-36).

ჩვენ ღარწმუნებულნი ვართ, რომ პირველმა მოციქულებმა გაიგეს „ეს კეთილი უწყება“. მოციქულთა საქმეების წიგნში აღწერილია პირველი ქრისტიანული საკრებულოების ცხოვრება: „ისინი ერთთავად მოციქულთა მოძღვრებაში, ზიარებაში, პურის გატეხვასა და ღოცვებში იყვნენ... ყველა მორწმუნე ერთად იყო და ყველაფერი საერთო ჰქონდათ. მამულებსა და ქონებას ჰყიდდნენ და უნაწილებდნენ ყველას, თითოეულის საჭიროების მიხედვით“ (საქმ. 2, 42-45).

ღმრთის ნებაა, რომ ჩვენ ღარიბებზე, ავადმყოფებზე და უმწიკვებზე ვიზრუნოთ (იხ. საქმ. 3; 5, 15-16; 6, 1-3; 9, 32; 9,36). როგორც პავლე მოციქული სწერდა რომაელ და გალატელ ქრისტიანებს: „არავისი არაფერი დაგედოთ ვალად, გარდა ერთიმეორის სიყვარულისა, ვინაიდან სხვისი მოყვარული ასრულებს რჯულს“ (რომ. 13, 8). იაკობ მოციქული საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, წერდა, რომ ეს არის გზა, რომლითაც უნდა ვიცხოვროთ და ვაჩვენოთ ჩვენი რწმენა: „ჩემო ძმებო, რა სარგებელია, თუ ვინმე იტყვის, რომ რწმენა აქვს, საქმენი კი არ გააჩნია? განა ამ რწმენას შეუძლია მისი ხსნა? თუ ძმა ან და შიშველია და დღიური საზრდო აკლია, რომელიმე თქვენგანი კი ეტყვის მას: მშვიდობით იარე, გათბი და ისაზრდოეო: სხეულისათვის საჭიროს კი არას მისცემთ, რა სასარგებლოა? (იაკ. 2, 14-16).

ეს მეორდება მოციქულ-მახარებელ იოანეს მიერ. ის სიყვარულით იმეორებდა შემდეგ სიტყვებს: „ამით შევიცანით სიყვარული, რომ მან საკუთარი სული გასწირა ჩვენთვის და ჩვენც უნდა გავწიროთ სულები ძმათათვის. ვისაც ამქვეყნიური ქონება აქვს, ძმას კი გაჭირვებაში ხედავს და მისგან კეტავს თავის გულს, როგორ დარჩება მასში ღმრთის სიყვარული? შეილებო! გიყვარდეთ არა სიტყვებით და არა ენით არამედ საქმითა და ჭეშმარიტებით“ (1 იოან. 3, 16-18). „ჩვენ გვიყვარს იმიტომ, რომ პირველად მან შეგვიყვარა. თუ ვინმე ამბობს ღმერთი მიყვარსო, თავისი ძმა კი ეჯავრება, იგი ცრუა, ვინაიდან, ვისაც არ უყვარს თავისი ძმა, რომელსაც ხედავს, როგორდა ეყვარება ღმერთი, რომელსაც ვერ ხედავს? და ასეთი მცნება გვაქვს მისგან, რომ ღმრთის მოყვარულს თავისი ძმაც უნდა უყვარდეს“ (1 იოან. 4, 19-21).

ღმრთის სიტყვების ფარული ძალა ჩანს საუკუნეების მანძილზე მისი ეკლესიის საქმიანობაში. ეკლესია იყო ნოყიერი ნიადაგი, სადაც იყვნენ ადამიანები, რომელთაც მოისმინეს, გაითავისეს და შეასრულეს სახარების ეს სიტყვები.

ქრისტიანობის საწყის ხანაში რომში ცხოვრობდა ვინმე ფაბიოლა, რომელმაც ააშენა პირველი საავადმყოფო; მოგვეპოვება ცნობები ვინმე ტიმოთესა და ნოვატოზე, რომლებმაც ააშენეს საავადმყოფო მომლოცველებისათვის; პლასიდა, თეოდორე დიდის მეუღლე, რომელმაც დაიწყო საავადმყოფოს მშენებლობა წმიდა მარია პორტიკოში.

მონაზვნური ცხოვრების დაწყებამ ახალი იმპულსი მისცა საავადმყოფოების დაარსებას მოგზაურთა და მომლოცველთათვის. თავად მონასტრებიც დიდ სტუმართმოყვარეობას იჩენდნენ მოგზაურების მიმართ.



XII-XIII საუკუნეებში ბევრი რელიგიური ორდენი დაარსდა. ისინი ასენებდნენ საავადმყოფოებსა და სხვადასხვა დაწესებულებებს გაჭირვებულთა დასახმარებლად.

აღვილობრივი ეკლესიებიც, საუკუნეების მანძილზე, პასუხისმგებლობას გრძნობდნენ დახმარებოდნენ გაჭირვებულებს და აშენებდნენ სხვადასხვა დაწესებულებებს მათი მომსახურების მიზნით.

XIV საუკუნეში ქრისტიანულ საკრებულოს ტურინში 12 საეპარქიო საავადმყოფო და სათნოების სახლი ჰქონდათ.

1500 წლიდან, კათოლიკური რეფორმის შემდეგ, ბევრი ინსტიტუტი და რელიგიური კონგრეგაცია დაარსდა. მაგალითად, ვინჩენციელები, კამილიელები...

კამილიელების ორდენმა უკვე იზეიმა დაარსების 400 წლისთავი. ეს ორდენი სულდგმულობს წმიდა კამილოს სიტყვებით: უყვარდეთ ღარიბები, მიტოვებულები და ავადმყოფები. როგორც სახარებაში წერია: „ღარიბი ადამიანის ძონძების ქვეშ შეიძლება იმალებოდეს ქრისტე“. „მათი სამსახურით ჩვენ სწორედ ქრისტეს ვადიდებთ“. წმ. კამილო წუხდა, რომ არ ჰქონდა „ასი ხელი“, რათა მეტად დახმარებოდა გაჭირვებულებს. სწულები და ღარიბები მისთვის იყვნენ „მისი ბატონები“ და „ღმრთის თვალის გუბები“. ის დარწმუნებული იყო, რომ ქველმოქმედება არის განსჯის საგანი. ის მადლობას სწირავდა ღმერთს, რომ მოუწოდა მას ემსახურა „ამ მისტერიულ ვენახში – საავადმყოფოებში“. ის ხშირად უმეორებდა თავის თანამოძმეებს შემდეგ სიტყვებს: „რომ არ იყვნენ ქვეყნად ღარიბები, ჩვენ უნდა ვეძიოთ ისინი, დავაყენოთ ფეხზე და სიკეთე გავუკეთოთ მათ“. იგი ხშირად ამბობდა: როგორი კურთხეული ვიქნებოდი ღმრთის სასამართლოზე, თან რომ მქონდეს ჩემს ავადმყოფთა მიერ დაღვრილი ცრემლები, მათი კვნესა და კურთხევა.

XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ ნახევარში ბევრს საუბრობდნენ ისეთ ქველმოქმედებსა და წმიდანებზე, როგორებიც იყვნენ: დონ ორიონე, კოტოლენგო, დონ ბოსკო, კაფასო, დონ კალაბრია, წმ. გასპარე ბერტონი, ნეტარი ჯუზეპე ბალდო და სხვ. მათ გვერდით ცხოვრობდნენ ოზანამი, ჯუზეპე მოსკატი, ფრატელ პამპური, დედა ტერეზა კალკუტელი და სხვ.

„Charitas Christi urget nos“: ქრისტეს სიყვარული სტიმულს გავძლევს, მიყვებით სახარებას, ტრადიციებს, ეკლესიას და ქრისტესმიერი ძმების საქმიანობას.

*(გავრძელება იქნება)*

პოეზიის სვეტი

გრიგოლ ორბელიანი

## ფსალმუნნი

ვინ აღვიდეს მადალსა მას მთასა წმიდასა,  
სადა ჰგალობენ ანგელოზნი ღმრთისა დიდებას?..

– სულითა წრფელი, მშვიდი გულით, ფიქრით განწმენდილ,  
ვის არ შეეხო ზაკის გესლი ძმისა განკითხვად

და სიყვარულით შეიწყალა ცდომილი ვნებით.

ვინცა ამ სოფლის დიდებასა მზეებრ მნათობსა,  
მონებრ არ მისდევს, ცნობს რა მის შუქს ფუჭწარმავალსა,  
ვინც ძლიერებას ხმითა მალღითა ამცნო სიმაართლე  
და ძმას დაცემულს მისცა ხელი და აღადგინა!..

იგი აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა,  
ღმრთისა დიდების გალობითა ნათელმოსილი.

1879

ინტერვიუ

### სძლიე ბოროტი კეთილით

“კარიტასის” დახმარებით და მამა გაბრიელე ბრავანტინის ძალისხმევით, კათოლიკე ეკლესიის მიერ ბათუმში დაარსდა “უსახლკაროთა ღამის თავშესაფარი”. ამ თავშესაფარს დაარსების დღიდან ვიტალი დოლიძე ხელმძღვანელობს. ძნელი წარმოსადგენია, ბატონი ვიტალი თუ არა, ვინ გაუძღვებოდა ამ ურთულეს საქმეს. საორგანიზაციო საკითხების გარდა, მას უწევს ხან ფსიქოლოვის, ხან მეცობრულად განწყობილი მოსაუბრის, ხან განრისხებული პატრონის როლის შესრულება. მან “მშრალი კანონის” დამკვიდრებაც კი მოახერხა. თუ გინახავთ სადმე ე. წ. “ბომჟები” – სუფთა ტანისამოსში გამოწყობილნი, მოვლილები, ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ მყოფნი და აბსოლუტურად ფხიზლები? ჩვენ, როგორც წესი, სოციალურად ყველაზე დაუცველ, უსახლკარო ხალხს – “ბომჟებს” შორიდან ვუყურებთ. ჩვენთვის ეს რაღაც უსახო, საცოდავი „მასაა“. მაგრამ ხშირად გვაეციწყდება, რომ ეს “მასა” ადამიანებისგან შედგება, რომ თითოეული ადამიანი პიროვნებაა – თავისი განცდებით, აზრებით, პრობლემებით, მცირე ან დიდი ტრაგედიებით თუ სიხარულით.

**“ვინც თქვენს შორის უცოდველია, პირველად მან დაჰკრას ქვა”**  
(ინ .8:7)

**თქვენი სახელი?**

ლარისა სოროკინა.

**გვიამბეთ, ასეთ მდგომარეობაში როგორ აღმოჩნდით?**

ბათუმში დავიბადე და გავიზარდე, ვმუშაობდი. მერე მშობლებმა ბინა გაყიდეს და საცხოვრებლად უკრაინაში გადავიდნენ. მარტო დავრჩი. ბინას ვქირაობდი. მუშაობა სად არ მიწევდა – ხან რესტორანში, ხან გემზე, გალვანიკურ საამქროში მუშაობის დროს მკვეთრად გამიუარესდა ჯანმრთელობის მდგომარეობა. ბოლო შვიდი წელი ფაქტიურად არ მიმუშავია. ვსვამდი.

**ღამის თავშესაფარში როგორ მოხვდით?**

წავიქეცი, გონება დავკარგე, მერე აქ მომიყვანეს.

**“როგორც გინდათ, რომ მოგექცნენ ადამიანები, თქვენც ისევე მოექცით მათ” (მთ. 7:12)**

გვიან საღამოს ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს მძღოლმა ლარისა ლამის თავშესაფარში მიიყვანა. მედპერსონალიდან არავინ ახლდა – არც ექიმი, არც მედლა, არც სანიტარი. საავადმყოფოს ადმინისტრაციამ ცნობის გაცემითაც არ შეიწუხა თავი. მანქანიდან ძლივს გადმოვიდა, მუცელი სითხისგან ჰქონდა გაბერილი, წონასწორობას კარგავდა. თავშესაფრის თანამშრომლებმა შენობაში შეიყვანეს, მაშინვე დაბანეს, საჭმელი მიაწოდეს და მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალი ადგილი არ ჰქონდათ, თავისთან დაიტოვეს – ასეთ მძიმე მდგომარეობაში ადამიანს გარეთ ხომ არ გააგდებდნენ! მეორე დღეს ლარისამ ძალა მოიკრიბა და საავადმყოფოში ცნობის ასაღებად წავიდა, მას თურმე ღვიძლის ციროზი დადგენილი ჰქონდა. საღამოს სიცხემ აუწია თითქმის ორმოცამდე.

**საავადმყოფოდან ასეთი დიაგნოზით როგორ გამოგწერეს?**

ექიმებმა თქვეს, რომ საავადმყოფოში ჩემი დატოვება არ შეეძლოთ: „პირველი დახმარება აღმოგიჩინეთ და შემდგომ მკურნალობაში ფული უნდა გადაიხადო“. ექიმმა მითხრა, რომ დასვენება მეყოფა – აქ კურორტი არ არისო.

ლარისას მდგომარეობა კი უარესდებოდა, სიცხე სულ უფრო და უფრო მაღლა იწევდა. ბატონმა ვიტალიმ სასწრაფო დახმარება გამოიძახა. ექიმმა იგივე დიაგნოზი დაუსვა – ციროზი და ასციტი, ამ დიაგნოზით ავადმყოფი გადაუდებელ პოსპიტალიზაციასა და ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებს. ექიმი გაოგნებული იყო ადამიანისადმი ასეთი მოპყრობით. ლარისა საავადმყოფოში გადაიყვანეს. მეორე დღეს, საღამო ხანს, თავშესაფრის კარს მანქანა მიაღდა. ამჯერად ლარისას სანიტარი მოჰყვა. ქალბატონი ისევ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ბატონ ვიტალის სხვა გზა აღარ დარჩენოდა და პატრულს გამოუძახა. ამჯერად პოლიციის თანხლებით ლარისა ისევ საავადმყოფოში აღმოჩნდა. კიდევ ერთი დღე გათენდა და... მძიმე ავადმყოფი ლარისა სოროკინა საავადმყოფოდან ქუჩაში გააგდეს. დაქანცულმა, დაუძღურებულმა და ადამიანის სისასტიკისგან განადგურებულმა ქალბატონმა ლამის თავშესაფარს ძლივს მიაღწია.

**ამ სამი დღის განმავლობაში თქვენ საავადმყოფოში სამჯერ აღმოჩნდით, რაზე პროცედურა თუ ჩაგიტარდათ?**

არა, არაფერი, სითხეც კი არ ამოუღიათ, რაღაც აბები მომცეს მითხრეს: “წადი, დაიძინე, წაქცევას თუ დააპირებ, არ წაიქეცი!” დილით კი. . .

ასეთია ლარისას ისტორია. მაგრამ, მაღლობა უფაღს, ჯერ კიდევ არიან ადამიანები, ვისაც გული შესტკივათ სხვის ბედზე და თანაგრძნობის უნარი არ დაუკარგავთ.

**“მოხარულებთან იხარეთ და მოტირალეებთან იტირეთ”**  
(რომ. 12:15)

ვიტალი დოლიძე თავის მეგობარს, აჭარის უზენაესი საბჭოს წევრს, ბატონ როინ ნიჟარაძეს დაუკავშირდა და სთხოვა, საცოდავი ქალბატონისათვის დახმარება აღმოეჩინა. ბატონი როინი დიდი გულისხმიერებით მოეკიდა ამ საქმეს. ჯერ საავადმყოფოს ექიმები აიძულა, სათანადო მკურნალობა ჩაეტარებინათ ლარისასთვის, ხოლო შემდგომ ადვილსამყოფელიც გამოუნახა.

დღეს ლარისა სოროკინა მართლმადიდებელ ეკლესიის მიერ დაარსებულ ინვალიდთა სახლში იმყოფება.

**“ითხოვეთ და მოგეცემათ, ეძებეთ და იპოვეთ, დარეკეთ და გაგვლებათ”**  
(მთ. 7:7).

**რუსუდან ავალიშვილი**  
**ალექსანდრა მარგველაშვილი**

ინფორმაცია

## **პატარა წიგნით გამოწვეული დიდი ვნებანი**

მამა გაბრიელ ბრაგანტინისა და ნუგზარ პაპუაშვილის წიგნის – „სიმართლისა და სამართლისათვის ივლიტის ეკლესიაზე“ – ახალციხის უნივერსიტეტსა და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართული განხილვების შემდეგ, საზოგადოების ინტერესი ისე გაიზარდა, რომ ამ საკითხით დაინტერესებული საზოგადოება კვლავ შეიკრიბა კონფლიქტების რეგულირებისა და მოლაპარაკებების ცენტრში, რათა ემსჯელათ წიგნსა და მის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟზე. კონფლიქტოლოგიის ცენტრში გამართულ მსჯელობას თბილისის სამეცნიერო, საისტორიო წრეების წარმომადგენლები, რელიგიათმცოდნეები, პოლიტოლოგები, არასამთავრობო წრეების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. წიგნის შინაარსმა და, განსაკუთრებით, მის გარშემო ატეხილმა სხვადასხვაობამ, კონფლიქტების ცენტრში შეკრებილი საზოგადოებაც არ დატოვა გულგრილი და სხვადასხვა აზრიც გამოითქვა მის გარშემო. საფიქრებელია, რომ ახლო მომავალში კვლავ გაიმართოს შეხვედრა და მსჯელობა ბრაგანტინ-პაპუაშვილისა და იველაშვილის (რომლის ნაშრომის საპასუხოდაც დაიწერა აღნიშნული წიგნი) წიგნების შესახებ, მით უმეტეს, რომ სამივე ავტორს აქვს ამის სურვილი, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს შეხვედრა სამეცნიერო-საისტორიო წრეებში უნდა გაიმართოს, რათა თავი ავარიდოთ დილეტანტურ კამათებს და არაფრისმომტან დაპირისპირებებს. დიალოგის წარმართვის, ურთიერთმოსმენის არქონის სურვილის და პიროვნული დაპირისპირების სულისკვეთებით მეცნიერული ჭეშმარიტება ვერ დამტკიცდება და სიმართლაც არასდროს გამოვლინდება, მაგრამ ჩნდება კითხვა: სწორედ ეს ხომ არ სურთ ზოგიერთებს? დარწმუნებული ვარ ისტორიის მკვლევრებს მხოლოდ ჭეშმარიტების დადგენა აინტერესებთ. ჭეშმარიტებას კი ერთი საოცარი

თვისება აქვს: რაც უნდა მალე იგი და რამდენადაც უნდა გააყაღო, საბოლოოდ მაინც გამომუდგენდება. მაგრამ როდის?

## შეხვედრა ბეთელში

საქართველოს ევანგელისტ-ბაპტისტთა ელია წინასწარმეტყველის სახელობის თეოლოგიური სკოლის პირველ გამოშვებასთან დაკავშირებით საზიემო შეხვედრა გაიმართა საქველმოქმედო ცენტრ „ბეთელში“.

შეხვედრას ესწრებოდნენ თბილისში მოქმედი რელიგიური, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, უცხოელი სტუმრები. მასში მონაწილეობის მისაღებად სტამბულიდან თბილისში საგანგებოდ ჩამოვიდნენ თურქეთში საქართველოსთან კულტურული თანამშრომლობის ასოციაციის წევრები.

საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის მთავარეპისკოპოსმა, დოქტორმა მალხაზ სონდულაშვილმა, სამახსოვრო საჩუქრები გადასცა თეოლოგიური სკოლის კურსდამთავრებულებს. შეკრებილ საზოგადოებას და კურსდამთავრებულებს, კათოლიკე ეკლესიის სახელით, მიესალმა მამა პიერ დიუმუენი, რომელმაც ხაზი გაუსვა თეოლოგიური სასწავლებლისა და განათლებული სასულიერო კადრების მნიშვნელოვან როლს, განსაკუთრებით, პოსტსაბჭოურ სივრცეში, სადაც ათწლეულების განმავლობაში თეოლოგთა მწვავე სიმცირე მრავალ პრობლემას ქმნიდა. მამა პიერმა საქართველოს ბაპტისტთა მეთაურს საჩუქრად გადასცა ქართულ ენაზე ახლახან გამოცემული ვატიკანის II კრების აქტები, ასევე, ამერიკის საელჩოსა და საქართველოში ამერიკის შესწავლის ცენტრის მიერ გამოცემული სამეცნიერო შრომათა კრებული, რომელშიც გამოქვეყნებულია სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თეოლოგიის, ფილოსოფიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტის პროფესორის, ნუგზარ ბარდაველიძის, მიერ საქართველოსა და ამერიკის ეკლესიათაშორისი ურთიერთობებისადმი მიძღვნილი გამოკვლევა. უკვე 16 წელია, რაც ეპისკოპოს მალხაზ სონდულაშვილის ინიციატივით საქართველოსა და ამერიკის ჯორჯიის შტატს შორის ფართომასშტაბიანი კონფესიათაშორისი თანამშრომლობაა გაჩაღებული, რომელშიც ორივე „ჯორჯიის“ მხრიდან, ბაპტისტური და კათოლიკური საკრებულოები მონაწილეობენ. განვლილი წლების მანძილზე, ამ ორი ქვეყნის ხალხების დაახლოებისა და თანამშრომლობის სფეროში კათოლიკეებსა და ბაპტისტებს დიდი წვლილი შეაქვთ. ამ ორი კონფესიის მესვეურთა ეს ისტორიული მისია საზოგადოებისათვის უცნობი არ უნდა იყოს. სწორედ ამ თეთრი ლაქის შევსებას ისახავს მიზნად ბ-ნ ნუგზარ ბარდაველიძის ნაშრომი, რომელშიც ამ ეს თანამშრომლობაა განხილული.

## რედაქციის განცხადება

„საბას“ რედაქცია ბოდიშს იხდის იმ გაუგებრობის გამო, რომელიც გაიპარა ჟურნალის მე-11 ნომერში მოთავსებულ მამა პიერ დიუმუენის სტატიაში „ფორმაციის პრობლემა საქართველოში“, რომელიც წარმოთქმულ იქნა ზეპირად, სინოდის პირველი სესიის დროს. სტატია დაიბეჭდა მამა პიერის

ნებართვის გარეშე და მის ერთ მონაკვეთში გამოსატული აზრი არანაირად არ შეესაბამება ავტორის აზრს.

არც ავტორს და არც „საბას“ რედაქციას არ სურდა გაენაწიენებინა სხვა ქრისტიანული საკრებულოს ძმები, მაგრამ, ხაზს ვუსვამთ, რომ საქართველოში თვითონ კათოლიკეებმა ხშირად ცოტა რამ იციან საკუთარი სარწმუნოების შესახებ.

ავტორისეული ტექსტი სინოდის აქტებში გამოქვეყნდება, ხსენებული ციტატა კი სინამდვილეში შემდეგნაირად უნდა იკითხებოდეს:

*საქართველოში მრავლდება სექტები, მათი რაოდენობა მატულობს, განსაკუთრებით, ტრადიციულად კათოლიკურ რეგიონებში. რატომ არ შეუძლია ხალხს დაიცვას საკუთარი სარწმუნოება? ასევე, მატულობს სხვა ქრისტიანულ საკრებულოთა – ევანგელისტების, ბაპტისტების – რიცხვი.*

**„საბას“ რედაქცია**

**განუსვენე მათ, უფალო!**

„საბას“ რედაქცია თანაუგრძნობს  
და ღორედანა მონეტის  
მამის გარდაცვალების გამო.

გურამ კიკნაძე

\* 13 სექტემბერი, 1940, სოფ. ახალშენი

† 5 დეკემბერი, 2006, სოფ. ახალშენი

## **სარჩევი**

რედაქციის გვერდი  
კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში  
სინოდი  
კათოლიკე ეკლესია საქართველოში  
საუბარი მკითხველთან  
სოციალური პრობლემები  
პოეზიის სვეტი  
ინტერვიუ  
ინფორმაცია

საგანგებო ჩანართი:  
ბუდაპეშტის 1956 წლის რევოლუცია

**რედაქცია:**

მამა გაბრიელე ბრაგანტინი  
ნუგზარ ბარდაველიძე  
ნატო ბიგვავა  
ვერიკო ნოზაძე  
მერაბ ღაღანიძე  
ზაზა შათირიშვილი  
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:  
თბილისი, გია აბესაძის ქ. №4  
ტელ.: 98-95-16  
რეგისტრაციის № 1853  
დაარსდა 1994 წ.  
მანანა ანდრიადის მიერ  
© „საბა“, 2007

## ბუდაპეშტის 1956 წლის რევოლუცია

საგანგებო ჩანართი

### შესავალი

ბუდაპეშტში განმათავისუფლებელმა სულმა იფეთქა, ეს სრული მოულოდნელობა იყო: ქვეყანაში საყოველთაო აჯანყება გამოცხადდა. 1956 წელს სტალინის სიკვდილითა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ დესტალინიზაციის დაწყებით იმედმოცემულმა უნგრელმა კომუნისტებმა პარტიულ კრებებზე შეიმუშავეს სახელმწიფო და სამთავრობო რეფორმები. ამ პოლიტიკის სიმბოლოს წარმოადგენდა ირმე ნადი – ადამიანი მრავალტანჯული ბიოგრაფიით, რეფორმატორი კომუნისტი, პრემიერად დანიშნული და შემდგომ გადაყენებული თავისი თანამდებობიდან, პარტიიდან გარიცხული და ისევ აღდგენილი. თავისუფალი და ცხარე დისკუსიების ატმოსფერომ, რომლებიც 23 ოქტომბერს ბუდაპეშტის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პეტოფის კულტურულ ცენტრში გაიმართა, გზა გაუხსნა საყოველთაო პროტესტს. მსგავსი რამ უკვე მოხდა ბერლინსა და პოზნანში, პოლონეთში. აქ კი ამბოხების სული მთელ უნგრელ ერს მგზნებარებით აანთებს. საბჭოთა კავშირი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებას ცდილობს, – ცხადზე ცხადია, რომ ნებისმიერ ფასად უნდა გადარჩეს ორი რამ: უნგრული სოციალიზმი და საბჭოთა კონტროლი ამ ქვეყანაზე. ამ მიზნით ქვეყანაში შედიან საბჭოთა სამხედრო ძალები. 31 ოქტომბერს ცხარე კამათის შედეგად მოსკოვში მიღებული გადაწყვეტილება 4 ნოემბერს განხორციელდა: თავდაუხოგავი შეტაკებანი, გააფთრებული თავდაცვა, თავზარადამცემი ნგრევა. აჯანყების შემდეგ მდგომარეობის ჩაწყნარებას მოჰყვება პიროვნებების “წმენდა” და “წახალისება”, რის შედეგადაც კომუნისტურ ქვეყნებს შორის უნგრეთი ყველაზე პრივილიგირებული ქვეყნად ჩამოყალიბებდა.

უნგრეთის კათოლიკე ეკლესიის ამჟამინდელი პრიმატი პეტერ ერდო, იმ მშფოთვარე და მძიმე დღეებს იხსენებს, როდესაც ჯერ იგი კიდევ მცირეწლოვანი იყო. აი, რას წერს იგი თავის ერთ-ერთ ინტერვიუში: “გფიქრობ, რომ ჩვენი, – ქრისტიანების და ეკლესიის მწყემსების, – ვალია, აღმდგარი უფლის სახელით იმედით ავანთოთ ხალხი, ყოველთვის აღვიდგინოთ დაკარგული ძალები. რასაკვირველია, რთული იქნება ეს გზა, რადგანაც ოპტიმიზმი, იმედი, მომავლის ჭკრეტა კონკრეტულ ნაბიჯებს მოითხოვს ჩვენს დროში. საჭიროა როგორმე აღვდგეთ წარსულიდან; საოცრად მომწონს იოანე პავლე II-ის მიერ სიტყვები, როცა იგი “მეხსიერების გაწმენდაზე” საუბრობდა. მხოლოდ ეს არის შერიგების ერთადერთი გზა ჩვენი ქვეყნისა და მთელი რეგიონისათვის. ამ თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია სულიერი შერიგება რუს ხალხთან, განსაკუთრებით – ამ თარიღთან დაკავშირებით. უნდა ითქვას, რომ იმ ქვეყნებს შორის, რომლებმაც უნგრეთს ზიანი მიაყენეს, მხოლოდ რუსებმა ითხოვეს პატიება, როგორც თავიანთი პოლიტიკოსების მხრივ, ასევე, ღრმად ქრისტიანული გზით, პატრიარქ ალექსი II-ის მხრიდან, 1984 წელს მისი ვიზიტისას უნგრეთში”.

საბჭოთა ძალების მიერ რეპრესიებითა და დიდძალი მსხვერპლით ჩახშობილი უნგრეთის 1956 წლის რევოლუცია გაიხსენა პაპმა ბენედიქტე XVI-მაც. მან უნგრეთის პრეზიდენტს, ლასლო სოლიომს, აჯანყების 50 წლისთავთან დაკავშირებით გაუგზავნა მიმართვა, სადაც პაპი წერს: “1956 წლის 4 ნოემბერს ბუდაპეშტის მამაცმა ხალხმა საკუთარი თავისუფლება მოითხოვა... ჯერ კიდევ ცოცხლობს ხსოვნა იმ ტრაგიკული მოვლენებზე, რომლებმაც სულ რამდენიმე დღის მანძილზე ათასობით ადამიანი შეიწირა და დაშავა, ხოლო მთელი მსოფლიო იმ დღეებში ერთიანმა აღშფოთებამ შეძრა”. პაპმა გამოთქვა სურვილი, რომ “უნგრეთმა შეძლოს თავისუფალი მომავლის აგება, ყოველგვარი იდეოლოგიური მოძღვრებების გარეშე”. მისი აზრით, 1956 წლის აჯანყების თარიღი “უნდა გახდეს იმ ეთიკურ იდეალებზე და სულიერ ღირებულებებზე დაფიქრების საბაზი, რასაც ემყარება ევროპა”.

## **ვაქტები**

22-23 ოქტომბერს აჯანყების პირველმა ნაპერწკალმა ბუდაპეშტის პოლიტექნიკური სტუდენტების შეკრებაზე იფეთქა. სტუდენტები აქ ზეგედის დელეგატების პრობლემებზე კამათობდნენ, სადაც მათ წარმოადგინეს ე. წ. “16 პუნქტის” თავდაპირველი ვერსია, რომელიც ქვეყნის მმართველ რეჟიმს უნდა გააცნონ. 23 ოქტომბერს, პარტიული გაზეთი “ზვაბად ნეპ”-ი, სტუდენტური ჯგუფის მოთხოვნით, აქვეყნებს სტატიას. შინაგან საქმეთა მინისტრი თავდაპირველად კრძალავს დედაქალაში მის გავრცელებას. 23 ოქტომბერს კოსუტის მოედანზე 200 000-მდე ადამიანი იკრიბება, ზოგიერთი მათგანი რადიოსადგურის მიმართულებით წავიდა, რათა საჯაროდ წაეკითხათ 16 პუნქტი, მაგრამ ადგილი უკვე შემოზღუდული დახვდათ. ჯარი და მანიფესტაციის მონაწილენი ერთმანეთს შეეჯახნენ. შინაგან საქმეთა მინისტრი საბჭოთა კავშირს სთხოვს დახმარებას. იმრე ნადი პარლამენტის აივნიდან მიმართავს ხალხს და მოსახლეობას აღუთქვამს, რომ მათ მოთხოვნებს შეისწავლის.



ამ დროს ხალხმა ძირს დაამხო სტალინის უზარმაზარი ქანდაკება გიორგი დოძას მოედანზე. მანიფესტანტები შეეტაკნენ პოლიციის ძალებს, მათ დაარბიეს კომუნისტური პარტიის დაწესებულებები. მანიფესტაციები სხვა ქალაქებსაც მოედო. საბჭოთა საგანგებო რაზმები სასწრაფოდ შევიდნენ ბუდაპეშტში, მაგრამ ისინი ჯერ თავს იკავებდნენ რამე აქციისაგან, რადგან იმედოვნებდნენ, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობა თავად მოაგვარებდა წარმოქმნილ პრობლემას პოლიტიკური ხერხებით.

### **სტუდენტთა 16 პუნქტი**

სტუდენტები მოითხოვდნენ: ქვეყნიდან საბჭოთა ჯარის გაყვანას; შიდაპარტიული არჩევნების გამართვას; მრავალპარტიულ სისტემას; ახალი მთავრობის ჩამოყალიბებას ნადის მეთაურობით და სტალინისტების განდევნას; გაფიცვების ნებართვას; საბჭოთა კავშირთან და იუგოსლავიასთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირების გადახედვას; ეროვნული ეკონომიის რეორგანიზაციას და ინფორმაციის გამოქვეყნებას ურანიუმის შესახებ, რომელსაც საბჭოთა კავშირი იყენებდა; სამრეწველო პირობების შეცვლას და ხელფასების ზრდას; ომის ტყვეთა დაბრუნებას; შეხედულებათა, ბეჭდვისა და სიტყვის თავისუფლებას.

**24 ოქტომბერი:** დილის 4 საათისათვის საბჭოთა ტანკები ბუდაპეშტში შევიდნენ; გამოცხადდა საყოველთაო განგაში: დაიწყო შეტაკებები საბჭოთა ჯარსა და მანიფესტანტებს შორის.

**25 ოქტომბერი:** დილით მანიფესტანტები ისევ იკრიბებიან პარლამენტის წინ, კოსუტის მოედანზე; მათ შორის საბჭოეთის ჯარისკაცებიც არიან. მოულოდნელად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახურავიდან საბჭოთა აგენტები ხალხს ესვრიან; საბჭოთა ჯარი ქალაქში სისხლის გუბეებს აყენებს. აჯანყება მთელ ქვეყანას მოედო. იქმნება მუშათა და სტუდენტთა რაზმები. ნადი საბჭოთა ჯარის გაყვანას მოითხოვს.

**30 ოქტომბერი:** რადიო აუწყებს მოსახლეობას, რომ ქვეყნის დედაქალაქიდან საბჭოთა ჯარები გადიან. ნადი აცხადებს, რომ ერთპარტიულობა წყვეტს თავის არსებობას, ხოლო მოსკოვი განაცხადებს, რომ სსრკ მზად არის უნგრეთის ხელისუფლებასთან ერთად მრგვალ მაგიდას მიუჯდეს და უნგრეთის ტერიტორიაზე საბჭოეთის ჯარების ყოფნის შესახებ მოლაპარაკება გამართოს. პატიმრობიდან გაათავისუფლეს კათოლიკე კარდინალი იოზეფ მინდსენტი.

**31 ოქტომბერი:** კარდინალი მინდსენტი, დაცვის თანხლებით, ბუდაპეშტში ჩადის. საბჭოთა ჯარებმა დატოვეს ქვეყნის ტერიტორია, მაგრამ ლამის განმავლობაში უნგრეთისაკენ ახალი შენაერთები დაიძრა. მოსკოვში, ოფიციალური განცხადების მიუხედავად, გამოიტანეს გადაწყვეტილება, დაიწყო უნგრეთში შეჭრა.

**1 ნოემბერს** უნგრეთის მთავრობა საპროტესტო ნოტას უგზავნის სსრკ ელჩს, იური ანდროპოვს, მოითხოვს საბჭოთა ჯარების გაყვანას და აცნობებს თავის პოზიციას უცხოეთის დიპლომატიურ კორპუსსა და გაერო-ს. ქვეყანა

გამოდის ვარშავის ხელშეკრულებიდან, აცხადებს ნეიტრალიტეტს და ითხოვს გაერო-ს მხარდაჭერას.

**2-3 ნოემბერი:** უნგრეთში ვარშავის ხელშეკრულების ჯარები შედიან. კარდინალი მინდსენტი აწყობს პრესკონფერენციას და დახმარებას სთხოვს დასავლეთის ქვეყნებს. საბჭოთა კავშირი ურცხვად ტყუის, რომ მოაგვარებს ჯარების გაყვანის საკითხს, თუმცა უნგრეთის სამთავრობო დელეგაციას საბჭოთა ორგანოები აპატიმრებენ.

**4-5 ნოემბერი:** საბჭოთა კავშირის 60 000 ჯარისკაცი, საავიაციო მხარდაჭერით, ბუდაპეშტისაკენ დაიძრა. ძლიერი შეტაკებები მოხდა დედაქალაქსა და სხვადასხვა ადგილას დამყრობლებსა და უნგრულ ჯარს შორის. დიდია მსხვერპლი: 669 საბჭოთა სამხედრო პირი და 2000-ზე მეტი უნგრელი. გაეროცელდა სხვადასხვა ენაზე დაწერილი კომუნიკე მთელი მსოფლიოსათვის მომხდარის საუწყებლად. მთავრობის ზოგიერთმა წევრმა იუგოსლავიას შეაფარა თავი, ხოლო კარდინალმა მინდსენტიმ ამერიკის საელჩოში პოვა თავშესაფარი. საბჭოთა ძალებმა დაიკავე შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროები და ალყაში მოაქცია პარლამენტი. გაზეთი “პრავდა” გამობდა ნადის პოლიტიკას და მას ახასიათებდა მას როგორც “რეაქციული ძალების მომხრეს”.

**6-9 ნოემბერი:** საბჭოთა კავშირის ჯარები ჩაახშობს აჯანყებას. უნგრეთს სათავეში ჩაუყენებენ იანოშ კადარის პროსაბჭოთა მთავრობას, რომელიც აღადგენს ქვეყნის ადრინდელ, 24 ოქტომბრამდელ პოლიტიკას. მოსკოვი მკაცრად დასჯის გადატრიალების მეთაურებს, აჯანყების პოლიტიკურ და კულტურულ მხარდამჭერებს; იმრე ნადის დახვერტენ; მიჩნეულია, რომ 1956 წლიდან 1959 წლამდე 20000 ადამიანს მიუსაჯეს პატიმრობა, ხოლო 1956 დეკემბრიდან 1961 წლის გაზაფხულამდე 300 ადამიანი დასაჯეს სიკვდილით.

## საერთაშორისო რეაქცია

1956 წლის 12 დეკემბერს გაერო-ს გენერალური ასამბლეის მე-11 პლენუმმა ხმების უმრავლესობით გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც სსრკ-ს ბრალს სდებდა “უნგრეთის პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ჩადენილ ქმედებაში”. თუმცა ამ განცხადებას არანაირი კონკრეტული შედეგი არ მოუტანია, კერძოდ, იმ ვითარების გამო, რაც შეიქმნა სუეცის არხის კრიზისთან დაკავშირებით. აშშ სასტიკად ეწინააღმდეგებოდა სსრკ-ის მიერ განხორციელებულ ინტერვენციას, მაგრამ ის დუმის ამჯობინებდა ეგვიპტეში თავის ძირითად მომხრეების ქმედებების გამო (ინგლისი, საფრანგეთი, ისრაელი). სსრკ აშანტაუებდა ამერიკას, რომ შეუტევდა ეგვიპტეს. აი, რას წერდა უნგრეთის თავისუფლების სიმბოლო, კარდინალი მინდსენტი დასავლეთის საქციელზე: “დასავლური სამყაროს სოლიდარობა ჩემი უცნობი სამშობლოს მიმართ ყოველგვარ კამათს სცდებოდა; მას ხმამაღლა ნათქვამი ლიტონი სიტყვებით გამოხატავდნენ, მაგრამ მწარე გამოცდილებით ვიგრძენით, რომ ჩვენს დახმარებას თავის თავზე არავინ იღებს და არც არავინ დადგა ჩვენს გვერდით. თავისუფლებისათვის მებრძოლმა უნგრეთმა ორი წაგება აჩვენა, ერთის მხრივ, მსოფლიო კომუნიზმისა, რომლის რეპუტაცია კიდევ უფრო მეტად ეცემა, და

მეორეს მხრივ, დასავლეთის და გაერო-ს, რომელთა უძღურებაც გაშიშვლდა. თუმცა დასავლეთმა აჩვენა, რომ იგი არა მხოლოდ უძღურია, არამედ ბრმაც”.

უნგრეთის გადატრიალების რეპრესიებს მსხვერპლი მოჰყვა არა მხოლოდ ბუდაპეშტში, არამედ პარიზშიც: დაიღვარა სისხლი შეტაკებისას უგრეთის რევოლუციის მხარდასაჭერი მანიფესტაციის დროს. შემდგომ რეაქცია გადაიზარდა აგრესიაში საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. გარდა პარიზისა, რომშიც, ამსტერდამშიც, დასავლეთ ბერლინშიც ათასობით ადამიანი გადიოდა მოედანზე, რათა გამოეხატა თავიანთი აღშფოთება; ამ მსვლელობებს კომუნისტურმა პარტიებმა დაუპირისპირეს თავიანთი ერთსულოვანი გადაწყვეტილებები, მხარი დაეჭირათ საბჭოთა კავშირისათვის, რომელმაც “ძმური დახმარება აღმოუჩინა უნგრელ ხალხს, რომელიც რეაქციულმა აჯანყებამ და ფაშისტურმა შეთქმულებამ მოიცვა”. თუმცა მრავალი ევროპელი კომუნისტი ინტელექტუალი ნელ-ნელა შორს იჭერდნენ თავს ამ პოზიციისგან, – გავიხსენოთ პიკასო, სარტრი...

ამასთან დაკავშირებით იტალიელმა პოეტმა ფ. ფორტინმა დაწერა ლექსი სათაურით “1956 წლის 4 ნოემბერი”:

“გამხმარი ტოტი წამში აელდა,  
მწვანე კი სიკვდილს გაურბოდა.  
ეს ჭეშმარიტი სიმართლე იყო.  
რუსო ჯარისკაცო, უნგრელო ჭაბუკო,  
თავებს ნუ იკლავთ ჩემს გულში,  
მე უკვე მივხდი, თქვენ ვინ იყავით  
და ისიც, თუ ვინ იყო მტერი“.

ბუდაპეშტის მოვლენებს გამოეხმაურნენ ალბერტო მორავია, იტალო კალვინო.

იმ ცამეტ დღეს, რამაც შიშის ზარი მოჰგვარა კრემლს, ბომბისმაგვარი ეფექტი ჰქონდა. ევროპა კი ემზადებოდა 180 ათასამდე უნგრელის მისაღებად, რომელთაც თავიანთი სამშობლოს საზღვრების გადმოლახვა შეეძლეს.

### ***კათოლიკე ეკლესიის ხმა***

კარდინალ მინდსენტის თვალსაზრისი 4 ნოემბრს საბჭოთა ჯარების მიერ უნგრეთში ინტერვენციასთან დაკავშირებით, რომელიც მან გამოთქვა ამერიკის საელჩოში 5 ნოემბერს, მკაფიო იყო. მან უპირობოდ დაგმო ეს ქმედება. კითხვაზე, თუ რომელია უნგრეთის კანონიერი მთავრობა, კარდინალმა უპასუხა: “მე უნგრეთის კანონიერ მთავრობად მხოლოდ ნადის მთავრობას მივიჩნევ. კადარი ალყაში მოაქციეს უცხოელებმა და მე უარვეყოფ მას როგორც კანონიერ მთავრობას”.

კათოლიკური სამყარო გულგრილი ვერ დარჩებოდა უნგრეთის ტრაგედიით. მილანის მთავარეპისკოპოსმა, კარდინალმა მონტინიმ (მომავალი პაპი პავლე VI) პროცესიაზე თავად ატარა მძიმე ხის ჯვარი როგორც უნგრეთის დამონების სიმბოლო. ასევე ნიუ იორკის მთავარეპისკოპოსმა, კარდინალმა სპელმანმა და ბოსტონის მთავარეპისკოპოსმა, კარდინალმა კაშინგმა თავიანთი თანადგომა

გამოუცხადეს უნგრელ ხალხს, იგივე მოხდა ფილიპინებზე, მანილას საერთაშორისო ევქარისტულ კონგრესზე 1956 წელს. პაპმა პიუს XII-მ 28 ოქტომბერსა და 4 ნოემბერს შორის საჯაროდ ოთხჯერ მაინც განაცხადა თავისი მოსაზრება. გთავაზობთ ამონარიდებს: “სამწუხაროა ფაქტები, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს დაატყდათ თავს, განსაკუთრებით, ჩვენთვის ესოდენ ძვირფას უნგრეთს, საშინელი სისხლისღვრით, რამაც ღრმად შეძრა ჩვენი მამობრივი გული... ძმური სიყვარულით შევთხოვთ ღმერთს, რათა მისგან მიიღოთ შეწევნა, ვის ხელშიც არის ხალხთა სვე-ბედი, რათა წერტილი დაესვას ამ სისხლისღვრას და გაბრწყინდეს ის ჭეშმარიტი მშვიდობა, რომელიც სამართალს, სიყვარულსა და სამართლიან თავისუფლებას ემყარება. ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, რომ წესრიგი ვერ დამყარდება ჯარის მიერ, ვერც მოქალაქეების მიმართ ძალადობით, ვერც ყალბი თეორიებით, რომლებიც ხრწნიან სულებს და არღვევენ ეკლესიისა და სამოქალაქო და ქრისტიანულ თვითშეგნებას” (1956 წლის 28 ოქტომბერი).

### **სხვა დამოწმება**

1956 წელს პარიზში გამოქვეყნებულ საჯარო განცხადებაში ალბერ კამიუ საუბრობს “ტერორის რეჟიმზე, რომელსაც სრული უფლება აქვს სოციალისტური ეწოდოს, თუკი ინკვიზიციის ჯალათები თავს ქრისტიანებს უწოდებდნენ”; შემდეგ იგი დასძენს: “ეს განადგურებული ხალხი ჩვენია. ის რაც ჩვენთვის გახლდათ ესპანეთი ოცი წლის წინათ, დღეს ეს იქნება უნგრეთი”. საყურადღებოა ორი რამ: კამიუ აშკარად ასხვავებს სოციალიზმის მომხიბლავ იდეას და საბჭოთა რეალობას. ამასთანავე, იგი ერთ დონეზე განიხილავს ესპანეთის ომს და უნგრეთის აჯანყებას. ეს მიუთითებს “რისორჯიმენტურ” აზროვნებაზე ანუ როდესაც ხალხი თავისუფლების სახელით აჯანყდა.

ბუდაპეშტის მოვლენებს უნგრელი ბიოლოგი და ფსიქოლოგი გიორგი კონრადი შემდეგნაირად აღწერს: “ბუნების სასწაულია ის, თუ როგორ იქცა მოსახლეობა ერთ საათში ერად. უცნაურია, მათ ეშინიათ ჩვენი და არა ჩვენ მათი. შეგიძლია, რაც გინდა, ის დაწერო ქაღალდზე და ხის კუნძზე გააკრა, რიტორიკა დაიმსხვრა. აჯანყდა ენა: ყველა ჟურნალისტი, მთელი ქალაქი სარეკლამო ფურცლებითაა გადაჭრელებული, დაუმორჩილებლობის სახალხო ზეიმი... ის, რაც გუშინ აკრძალული იყო, დღეს უკვე შესაძლებელია; შესაძლებელია, რადგანაც ვაკეთებთ და ამისთვის არავისგან არ ვიღებთ ნებართვას. ეს საგანთა წესრიგი იტყუება, ჩვენ კი ტაშს ვუკრავთ. ხალხს არ სურს სიცრუემ იბატონოს, რომელიც მტერია სახალხო ძალაუფლებისა. რამდენიმე საათში ნაცარტუტად იქცა რაც წლების მანძილზე საგანთა ბუნებრივ წესრიგად მიიჩნეოდა. მაშინდელი მცირერიცხოვანი, პრაქტიკულად შეუმჩნეველი ოპოზიციიდან დიდმა და მრისხანე ძალამ ამოხეთქა. საჭირო არ იყო ხალხის დარაზმვა, ხალხი თავისი ნებით იკრიბებოდა მოედანზე, თითქოსდა, შინაგან ბრძანებას ემორჩილებოდა. ისინი არ ფიქრობდნენ მომავალზე, ისინი აწმყოთი გაჯერებულნი არსებობდნენ“.

### **კარდინალი იოზეფ მინდსენტი (1892-1975წ)**

იოზეფ მინდსენტი მღვდლად აკურთხეს 1915 წელს. პირველად იგი დააპატიმრეს 1919 წელს ბელა კუნის კომუნისტურ რეჟიმთან მიკსი დაპირისპირების გამო. 1940 წელს პრემიერმინისტრი ტელეკი მას ავალებს ღუნაისმიდმა ზონაში ეროვნული პოლიტიკის სამსახურის ორგანიზებას, რათა დაუპირისპირდეს ქვეყანაში ნაცისტური იდეების შემოტანას მოსახლეობის იმ ნაწილში, რომელიც გერმანულ ეროვნულ უმცირესობას განეკუთვნებოდა. 1944 წელს მარტს იგი ვესცპრემის ეპისკოპოსად აკურთხეს. 31 ოქტომბერს იგი, სხვა ეპისკოპოსებთან ერთად, ქვეყნის პრემიერმინისტრს, სცალასს, მემურანდუმს უგზავნის, რომელშიც ითხოვს საომარო დაძაბულობის შეწყვეტას. 27 ნოემბერს მინდსენტი რამდენიმე სემინარისტთან ერთად დააპატიმრეს და წითელი არმიის შემოსვლამდე არ გაუთავისუფლებიათ. 1945 წლის 5 სექტემბერს იგი ეცერგომის მთავარეპისკოპოსად დაინიშნა, რის შედეგადაც იგი გახდა უნგრეთის პრიმასი. ამავე წლის დეკემბერში იგი კარდინალის ხარისხში იქნა აღყვანილი. მინდსენტი დაუფარავად შეურიგებელია სტალინური რეჟიმის მიმართ, რომელიც მის საწინააღმდეგო კამპანიას წამოიწეებს. 1948 წლის 26 დეკემბერს იგი დააპატიმრეს და მომდევნო წლის 8 თებერვალს მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. ჯანმრთელობის გაუარესების გამო, რაც გამოიწვია ციხის მძიმე პირობებმაც. 1955 წლის ივლისში ეპისკოპოსები მიადწევენ იმას, რომ იგი შინაპატიმრობაში გადაიყვანონ ფელსოპეტენში. 1956 წლის 31 ოქტომბერს იგი ბუდაპეშტში ჩადის, ხოლო 3 ნოემბერს მთელს ერს მიმართავს რადიოუწყებით, სადაც მხარს უჭერს უნგრეთის ნეიტრალიტეტს, მოითხოვს თავისუფალი არჩევნების ჩატარებას და კერძო მესაკუთრეობის აღდგენას; იგი მტკიცე რწმენას გამოხატავს, რომ ქვეყნის ეპისკოპოსები მოაგვარებენ ურთიერთობას სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. 4 ნოემბერს კარდინალი მინდსენტი პარლამენტში გამოდის სიტყვით, რის შემდეგაც იგი იქვე ახლოს მყოფ ამერიკის საელჩოში შედის და თავშესაფარს ითხოვს. 15 წლის განმავლობაში იგი საელჩოს შენობაში იმყოფება. მხოლოდ 1971 წლის 28 სექტემბერს იგი ტოვებს ბუდაპეშტს იმ ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც დაიღო ვატიკანს, უნგრეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის; საბოლოო გადაწყვეტილებით, იგი მკვიდრდება ვენის უნგრულ სემინარიაში და თავის თავზე იღებს დასავლეთში მყოფი თანამოქალაქეების სულიერ-სამწესო ხელმძღვანელობას. 1973 წლის 1 ნოემბერს, ვატიკანის იმდროინდელი აღმოსავლური პოლიტიკიდან გამომდინარე, პაპი პავლე VI ითხოვს მას, უარი თქვას კათედრაზე, ხოლო 8 ნოემბერს ინიშნება ერცგომის ახალი მთავარეპისკოპოსი. მინდსენტი გარდაიცვალა ვენაში 1975 წლის 6 მაისს და იქვე იქნა დაკრძალული. 1991 წლის 4 მაისს მისი ნეშტი ერცგომის საკათედრო ტაძარში გადაასვენეს.